



**საქართველოს  
პირველი არხი**

**ანგარიში**

2018

# სარჩევი

- ▶ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ
- ▶ მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ
- ▶ მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგის შესახებ
- ▶ დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ
- ▶ საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ
- ▶ განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ
- ▶ საჭარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ
- ▶ საზოგადოებრივი მაუწყებლობის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ
- ▶ საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

დანართი: შიდა და გარე აუდიტების დასკვნები



**საქართველოს  
პირველი არხი**

**საპროგრამო პოლიტიკა**

# სარჩევი

- ▶ შესავალი
- ▶ პირველი არხის აღმასრულებელი საბჭოს ხედვა / საპროგრამო პოლიტიკა
- ▶ სატელევიზიო არხების ხელმძღვანელის ხედვა / საპროგრამო პოლიტიკა
- ▶ ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის ხელმძღვანელის ხედვა
- ▶ რადიოს არხების ხელმძღვანელის ხედვა / FM102,4; FM100,9 რადიოარხების საპროგრამო პოლიტიკა
- ▶ ონლაინ მედიის ხელმძღვანელის ხედვა

# შესავალი

საზოგადოებრივი მაუწყებელი საკუთარი პროგრამებით მიმართულია თავისი მისიის, მისწრაფებების და მიზნების აღსრულებისკენ. საპროგრამო პოლიტიკის კონცეფციის ფორმირებისას გამოიკვეთა შემდეგი ასპექტები, რომლებზეც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს.

## მრავალფეროვანი მადიაპროდუქციის და მომსახურების წარმოება და შეთავაზება:

- ▶ მაუწყებლის თანამშრომელთა კომპეტენციის ამაღლება და პროფესიონალი კადრების მოზიდვა
- ▶ მრავალფეროვანი აუდიტორიის ინტერესების დაკმაყოფილება
- ▶ სხვადასხვა სამაუწყებლო პლატფორმაზე ადაპტირება

## ფასულობა დანახარჯებთან მიმართებაში:

- ▶ ხარჯების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვა
- ▶ მასშტაბისა და ფარგლების ეკონომია


## აუდიტორიის მოზიდვა:

- ▶ სხვადასხვა სამაუწყებლო ერთეულების ჯვარედინი რეკლამირების აქტიური გამოყენება ერთმანეთის პროდუქციის რეკლამირებისთვის
- ▶ მომხმარებლის ქცევის გათვალისწინებით პროგრამირების აწყობა
- ▶ პროგრამირება კონკურენციის გათვალისწინებით

საზოგადოებრივი მაუწყებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარი მისწრაფებებისა და მიზნების განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მრავალფეროვანი აუდიტორიის ინტერესების დაკმაყოფილებას სხვადასხვა ჟანრით, თემატიკით, განსხვავებული ფორმატებით და იმ მოწყობილობებზე ადაპტირებით, რომლებიც მათთვის ყველაზე მეტად მისაღებია კონკრეტულ დროსა და ადგილზე.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, არსებული რესურსის და მაღალი კონკურენციის პირობებში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარი ხარჯების ეფექტიან და გამჭვირვალე ხარჯვას; მომხმარებლის ქცევის შესაბამისად საკუთარი რესურსების სწორ დროს და სწორ სამაუწყებლო პლატფორმაზე განთავსებას; პროდუქციის წარმოებისას მასშტაბისა და ფარგლების ეკონომიას.

# მიზნების მიღწევა შემდეგი ნაბიჯების გადადგმით:



# პირველი არხის ადმინისტრაციული საბჭოს ხელვა საპროგრამო პოლიტიკა

სატელევიზიო ბაზარზე არსებული მდგომარეობის, ტელემაყურებელთა ქცევის და მოთხოვნების შესწავლის მიზნით, პირველი არხი გეგმავს კვლევის და ანალიზის სისტემურ პრაქტიკას; სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას, რომელიც შესაძლებელს გახდის უფრო მეტად შევისწავლოთ/გავიგოთ აუდიტორიის საჭიროება და მაყურებელს შევთავაზოთ ინდივიდუალური კონტენტი.

ეს კვლევები კომპანიას დაეხმარება სტრატეგიის და ტაქტიკის ფორმირებაში. სტრატეგია ჩამოყალიბდება რეალურად არსებული და პოტენციურად შესაძლო ფაქტორების და პერსპექტივის გათვალისწინებით.

## ► რაოდენობრივი კვლევა - პირისპირ ინტერვიუს მეთოდი

კვლევის ძირითადი მიზანია სატელევიზიო ბაზრის აღწერა, რაც გულისხმობს სატელევიზიო აუდიტორიის შესწავლას სოციალური პროფილის (სქესი, ასაკი, დასაქმება, საქმიანობა), სამომხმარებლო და ფსიქოლოგიური მახასიათებლების მიხედვით. სატელევიზიო პროექტების ჟანრზე, ფორმატსა და თემატიკაზე აუდიტორიის მოთხოვნის უფრო მეტად შესასწავლად, დავადგენთ მოსახლეობის პრიორიტეტებს - რომელ გადაცემებს უყურებენ ქართულ სატელევიზიო სივრცეში, რა გადაცემების დეფიციტს განიცდიან, რა პოტენციური აქვს თითოეულ სეგმენტს და მის განმსაზღვრელ ფაქტორებს, რა ტიპის გადაცემებია სასურველი დროის კონკრეტულ მონაკვეთში.

კვლევა უზრუნველყოფს თითოეული სეგმენტის ჭრილში მოსახლეობის ღირებულებების და მოთხოვნების შესწავლას, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებშიც აისახება.

კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია საქართველოს რეგიონებში მცხოვრები, ასევე ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი) მოსახლეობის ტელეაუდიტორიის პრეფერენციების შესწავლა. სატელევიზიო ბაზრის კვლევამ დაედაქალაქთან ერთად მაქსიმალურად უნდა მოიცვას საქართველოს რეგიონები, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობა.

## ► თვისაბრივი კვლევები

თითოეული პროექტის ინდივიდუალური განხილვის დონეზე, სიღრმისეული ინფორმაციის ოპერატიულად მისაღებად, დაგეგმილია ფოკუს-ჯგუფების ჩატარება ტელემაყურებლების დამოკიდებულებების, განწყობების, განცდების კვლევისთვის, კონკრეტული სატელევიზიო პროდუქტის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად, მისი შესაძლებლობების და საშიშროებების განსაზღვრისთვის.

## 1.3 პერსონალური პირველი არხი

პირველი არხი ონლაინ მიმართულების განვითარებას განიხილავს მთავარ მიზნად - მომხმარებლისთვის ონლაინ პლატფორმის პერსონიფიცირება გამარჯვების ერთ-ერთი განაცხადი იქნება. თავის მხრივ, პირველი არხის ონლაინ პორტალი წარმოადგენს ერთგვარ ჰაბს, საინფორმაციო სააგენტოს, რომელშიც თავს იყრის მრავალი ფორმის და მიმართულების ინფორმაცია, თუმცა სატელევიზიო პროგრამირებისგან განსხვავებით, რომელიც კვლევების ანალიზს, გამოცდილებას ეფუძნება და მაყურებელს მზა სახით აწვდის ინფორმაციის და კონტენტის კრებულს, ვებ პლატფორმის პროგრამირება მომხმარებელს თავად შეუძლია, საკუთარი პროფილიდან, მისთვის საინტერესო კონტენტის პერსონიფიცირებულად არჩევით.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში, აქტუალური ხდება ონლაინ საპანელო გამოკითხვები. ონლაინ პლატფორმის გაძლიერებასთან ერთად შესაძლებელია მარკეტინგული კვლევის ამ მეთოდის გამოყენება, რისთვისაც საჭიროა ონლაინ პანელის ორგანიზება. რეგისტრაციის დროს მომხმარებელი გამოიყენებს ინდივიდუალურ პროფილს, ეს მონაცემები საშუალებას იძლევა, პანელი დაიყოს სამიზნე ჯგუფებად, მათთან კომუნიკაციით კი შესაძლებელი გახდება ტელეპროექტებზე ცალკეული სეგმენტების დამოკიდებულების შესწავლა, მათი სურვილების გათვალისწინება და ხარისხის გაუმჯობესება.

## რუსუდან მანჭგალაძის ხედვა

### სატელევიზიო არხების ხელმძღვანელი

ჩვენთვის მთავარია არა ის, რა იყო აქტუალური გუშინ, არამედ ის, რა იქნება აქტუალური და საინტერესო ჩვენი მაყურებლისთვის ხვალ

## საპროგრამო პოლიტიკა

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს, წარმოადგენს ყოველწლიურ დაპირებას მაყურებლის, მსმენელის, მომხმარებლის მიმართ და სთავაზობს მათ ხედვას, თუ რა შესაბამისობაშია მაუწყებლის საქმიანობა მის ვალდებულებებთან.



# პირველი არხი

## ხაღვა 2018/2019


2018 წელს პირველმა არხმა დაიწყო აუდიტორიის დაბრუნება, რაც მაყურებლის გაზრდილი რაოდენობით გამოიხატა.

2018 წლის სატელევიზიო სეზონზე, 2017 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, პირველი არხის საშუალო რეიტინგი (Rtg%) 18+ აუდიტორიისთვის 73%-ით გაიზარდა. 4+ აუდიტორიამ კი 75%-ით მოიმატა.

### CHANNEL 1



პირველი არხის ბაზრის წილი (Share) გაზრდილია 72,7% - ით. დღის განმავლობაში ტელეაუდიტორიის მატება განსაკუთრებით პრაიმ თაიმში ფიქსირდება.




2017  
(2/1/2017 - 7/31/2017)

2018  
(2/1/2018 - 7/31/2018)

პირველი არხი ინარჩუნებს და ზრდის საკუთარ მომხმარებელს გადაცემებისა და ონლაინ პლატფორმის საშუალებით.

2018 სატელევიზიო სეზონზე საზოგადოებრივ მაუწყებელს ყოველკვირეულად, საშუალოდ (AVWRch) 814,333 ადამიანმა უყურა. აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით, ეს მონაცემი გაზრდილია 25,616-ით და კონკურენტ არხებს შორის მესამე მაჩვენებელია ტელეკომპანია „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის შემდეგ.

### AVWRCH(000) \* YEAR 2018



\*ყოველკვირეული საშუალო მაჩვენებელი

ასევე მოიმატა პირველი არხის ყურების ხანგრძლივობამ, 2018 წლის საშუალო მაჩვენებელი, 2017 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 82.4%-ით მეტია.

გრძელდება ტექნიკური განახლება-გადაიარაღება, რაც ხელს უწყობს კიდევ უფრო ხარისხიანი პროდუქტის შექმნას. პირველი არხის მთავარი გამოწვევაა - იყოს ყველასგან გამორჩეული და მაყურებელმა ამ არხზე იხილოს ის, რის ნახვასაც ვერ შეძლებს სხვაგან.

პირველი არხის ამოცანაა, გამორჩეულად ნიჭიერი ადამიანების აღმოჩენა და წახალისება. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ის, რომ ორიგინალური საბავშვო მუსიკალური პროექტის „რანინას“ გამარჯვებული თამარ ედილაშვილი საქართველოს 2018 წლის საბავშვო ვეროვიზიზაზე წარადგინა.

ასევე, აღსანიშნავია გადაცემა „წიგნების თარო“, რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ბრენდი გახდა. გადაცემის გამარჯვებული გუნდი დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის საზაფხულო სკოლაში უკვე მეოთხე წელია მიემგზავრება.

# 2018-2019 წლის საეთარო სეზონი

პირველი არხის 2018-2019 წლის სატელევიზიო სეზონის მთავარი გამოწვევაა არხის საეთერო ბადეში დილის და შუადღის ზოლის გადაცემების არსებობა.

## დილის ზოლის ორიგინალური პროდუქტი "ახალი დღე"

07:30 - 10:00

გადაცემა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს, თვეში 46 საათი.

ახალი სეზონიდან დილის ეთერი (07:30) იწყება ორიგინალური პროდუქტით. გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს დროის სხვადასხვა ინტერვალში ცვალებადი აუდიტორიის მოთხოვნებს.

შემეცნებით-გასართობი დილის გადაცემა აშუქებს იმ თემებს, რაც განსაზღვრულია პროგრამული პრიორიტეტებით:

- ▶ რიგითი მოქალაქის სოციალური პრობლემები;
- ▶ საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები/პროცესები;
- ▶ ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა;
- ▶ საქართველოს რეგიონების ცხოვრების აქტიური გაშუქება;
- ▶ ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის აქტუალური საკითხები;
- ▶ ადამიანის უფლებათა სწავლების პოპულარიზება;
- ▶ ინფორმირება უსაფრთხოების ნორმებისა და მომხმარებელთა უფლებების შესახებ;
- ▶ ეკოლოგია, ბუნებრივი რესურსები და გარემოსდაცვითი საკითხები;
- ▶ შშმ პირების, დევნილების, ქალების, ლგბტ თემის, მიგრანტების, ხანდაზმულების, საზოგადოების სხვა დაუცველი ჯგუფების შესახებ საკითხების გაშუქება;
- ▶ საქართველოში არსებული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების კულტურის, ტრადიციების, ფასეულობებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქება;
- ▶ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

მრავალფეროვანი კონტენტის დილის გადაცემით მაყურებლის მოზიდვა და ეკრანთან მიჯაჭვა (რასაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თავად გადაცემის ფორმატი და შესრულების ხარისხი) ხელს შეუწყობს ბადის მომდევნო მედიაპროდუქტს მაყურებლის რაოდენობის გაზრდაში.

### **შუადღის ზოლის ორიგინალური პროდუქტი “ნაშუადღის”**

12:30 - 15:00

**გადაცემა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს**

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, პირველ არხს Off-time-ში კომერციული რეკლამის გაყიდვა/განთავსების უფლება აქვს, რამაც შეცვალა მაუწყებლის სტრატეგია პროგრამირების კუთხით - კომერციული ინტერესი აძლიერებს/ამყარებს დილის და დღის ზოლის ცოცხალი ეთერით და ახალი პროექტებით დატვირთვის საჭიროებას, ასევე მაუწყებლის ვალდებულებას, ლოკალური კონტენტის მაღალი პროცენტული მაჩვენებლით პოზიციონირებდეს მედიაბაზარზე (მაუწყებლის ბიუჯეტი მოხმარდეს ქვეყნის შიდა და არა შესყიდულ გარე პროდუქციას).

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საზოგადოებრივი მაუწყებელი ფოკუსირდეს დილის და დღის სლოტებზე, განავითაროს დილის/დღის ეთერი მრავალფეროვანი და ორიგინალური (ადგილობრივი) პროდუქციით.

## პირველი არხის ეთერში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები

### მიმდინარე და ახალი აგებვის ბლოკი

1. მოამბე
2. მოამბე - დღის თემა (თამთა სანიკიძე)
3. აქტუალური თემა (მაკა ცინცაძე)
4. კვირის ინტერვიუ (ირაკლი აფსნაძე)
5. თავისუფალი ხედვა (გიორგი გვიმრაძე)
6. ახალი თაობა (გიორგი გვიმრაძე)
7. ნაშუადღევს
8. 42-ე პარალელი
9. მრავალფეროვანი საქართველო
10. გამომძიებელი რეპორტიორი
11. ეკონომიკა (პილოტის ფაზა)

### გეგმილი პროექტების ბლოკი

1. მარტივი ლოგიკა
2. მეექვსე კლასელი
3. წიგნების თარო
4. აკუსტიკა
5. ფერმა
6. რეალური სივრცე
7. ილუზიონი
8. დოკუმენტური ფილმები
9. ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ!
10. ახალი დღე
11. პირადი ექიმი

### დაგეგმილი პროექტები

1. საქართველოს ვარსკვლავი
2. რანინა
3. ღამის შოუ
4. რა? სად? როდის?
5. კაცები
6. ღამის შოუ
7. კულინარიული შოუ
8. დოსიე
9. წიგნების თარო ახალგაზრდული
10. სერიალი
11. დათო ევგენიძე - (12 მოციქული) - დამუშავების ფაზა
12. კინოქალაქი (პილოტის ფაზა)

## მედიაციური პროდუქცია:

- ▶ Paramount-ის მხატვრული ფილმები (თანამედროვე და გასული წლების მსოფლიო ჰიტები);
- ▶ Paramount-ის სერიალი “ბერლინის განციფილება“ (საპრემიერო ჩვენება);
- ▶ BBC-ს სერიალი „დარელების ოჯახი“;
- ▶ Sony-ს სერიალი “კარგი ექიმი“;
- ▶ Sony-ს სერიალი “Timeless“;
- ▶ RAI-ს სერიალი “ქალების სამოთხე“
- ▶ Globo-ს სერიალი “დიდი ძარცვა“;
- ▶ ესპანური სერიალი „ძველი ხიდის საიდუმლო“;
- ▶ ესპანური სერიალი „ექვსი და“;
- ▶ BBC-სა და “RAI“-ს მინისერიალები;
- ▶ BBC-ს დოკუმენტური ფილმები (მათ შორის “პლანეტა დედამიწა“ და „ლურჯი პლანეტა“);
- ▶ ARTE-ს დოკუმენტური ფილმები და სერიალები;
- ▶ Discovery-ს დოკუმენტური სერიალები);
- ▶ Paramount-ის სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმები (მათ შორის “შრეკი“, „მადაგასკარი“...);
- ▶ Nickeodeon-ის ანიმაციური სერიალები;
- ▶ პირდაპირი ტრანსლაციები: ვენის საახალწლო კონცერტი, ოქროს გლობუსი, ოსკარების ცერემონია, შონბრუნის კონცერტი...

# მთავარი სარვისები

## საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

პირველი არხის საინფორმაციო პროგრამის ამოცანაა, გახდეს ქვეყანაში პირველი და სანდო წყარო ნებისმიერი მოქალაქისთვის, ნებისმიერ პლატფორმაზე.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გათვალისწინებით, „მოამბის“ მთავარ გამოშვებას კვირაში სამჯერ დაემატა სტუმრის ბლოკი. წამყვანი - თამთა სანიკიძე მიმდინარე დღის აქტუალურ თემებს მოწვეულ სტუმართან ერთად შეაჯამებს.

თოქ-შოუ „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ ეთერშია კვირაში ერთხელ, ყოველ პარასკევს (ქრონ. 1 საათი).

ირაკლი აბსანძის საავტორო გადაცემა „კვირის ინტერვიუ“, ასევე „42° პარალელი“ და „ახალი კვირა“ კვლავ პირველი არხის ეთერშია კვირაში ერთხელ.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით გაიმართა წინასაარჩევნო დებატები, როგორც კვალიფიციური ასევე არაკვალიფიციური კანდიდატების მონაწილეობით.

დებატებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს:  
<https://1tv.ge/news/saprezidento-kandidatebi-pirvel-arkhze-khedva-da-debatebi/>

## დოკუმენტური გადაცემები (FACTUAL)

პირველი არხი აგრძელებს დოკუმენტური ჟანრის სატელევიზიო პროდუქტის შექმნას. 2018 წლიდან ეთერში ჩაეშვა და 2019 წელსაც გაგრძელდება აკა მორჩილაძის საავტორო პროექტი „იონას საქართველო“, რომელიც ავტორმა იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მიხედვით მოამზადა.

მნიშვნელოვანი სატელევიზიო პროდუქტია დოკუმენტური ფილმების ციკლი „პოლკოვნიკის დახეული წერილები“ - საქართველოს 100 წლის წინანდელი ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი, ჩვენი მაყურებლისთვის და ფართო საზოგადოებისთვის უცნობი მონაკვეთი.

## დოკუმენტური ფილმები

- ▶ რემისია
- ▶ შარდენიდან მანინგამდე
- ▶ უშგული ჩემი სამოთხე
- ▶ ინტერაქტივი (დელფინარიუმი)
- ▶ ჭამბაზები
- ▶ თემურ ჩხეიძე (ეპოქა)
- ▶ გივი მარგველაშვილი (ეპოქა)
- ▶ ოთარ იოსელიანი (ეპოქა)
- ▶ პოლკოვნიკის დახეული წერილები (სტოქსი)
- ▶ თბილისის კართან
- ▶ საბჭოთა საქართველოს კრიმინალური ქრონიკა

## დრამა

პირველმა არხმა, რომლის მიზანია საზოგადოების მოთხოვნის, ინტერესის და ზოგადი ტენდენციის გათვალისწინება, გასულ სეზონზე ქართულ სერიალზე კონკურსი გამოაცხადა.

კონკურსის შედეგად წარმოებაში ჩაეშვა 12-სერიანი დეტექტიური ჟანრის სერიალი „ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე“, რომელიც 2019 წლის სეზონზე განთავსდება პირველი არხის ეთერში.

მაუწყებელი გეგმავს გააგრძელოს სერიალების წარმოება და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ამ ინდუსტრიის განვითარებაში.

## გასართობი მიმართულება

გრძელდება გასართობი მიმართულების პროდუქციის წარმოება. საეთერო ბადეში შენარჩუნებულია 20:00-საათიანი ზოლი, რომელიც საოჯახო ყურებისთვის არის განსაზღვრული და დატვირთულია შემეცნებითი ელემენტებით გაჯერებული გასართობი თამაშებით.

ახალ სეზონზე მაყურებელს კვლავ შევთავაზებთ საბავშვო მუსიკალურ კონკურსს „რანინა“. ახალი სეზონის საეთერო ბადეში განთავსებულია მუსიკალური გადაცემა „აკუსტიკა“, რომელიც გამდიდრებულია ახალი ელემენტებით და კიდევ უფრო მრავალფეროვანი მუსიკალური ჟანრებით.

ახალ სეზონზე პირველი არხი მაყურებელს შესთავაზებს ორ მასშტაბურ საერთაშორისო პროექტს - "საქართველოს ვარსკვლავი" და "MasterChef".

გასართობი და იუმორისტული ჟანრის მიმართულებით ეთერში რჩება გადაცემა „კაცები“, რომელიც გარე წარმოების პროდუქტია (Outsource). ასევე სატელევიზიო ეთერს დაემატება გადაცემა "ლამის შოუ".



## სპორტი & ღონისძიებები

პირველი არხი მაყურებელს წლების განმავლობაში სთავაზობდა მნიშვნელოვან სპორტულ ასპარეზობებს. მაყურებელს ჩამოუყალიბდა ჩვევა, დაელოდოს და უყუროს სპორტულ ღონისძიებებს საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

2019 წლის სატელევიზიო სეზონზე მაყურებელს კვლავ შევთავაზებთ ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენებიდან ტრანსლაციებს, როგორც მსოფლიო მასშტაბის, ასევე საქართველოს შიდა ჩემპიონატებიდან რეპორტაჟებს.

აღსანიშნავია, რომ პირველი არხი საკუთარი პროგრამირებით ხელს უწყობს საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და პოპულარიზაციას.

### პირველი არხის სპორტული ღონისძიებები:


- ▶ მსოფლიოს 20020 წლის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში;
- ▶ მსოფლიოს შესარჩევი მატჩები კალათბურთში;
- ▶ მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში;
- ▶ რაგბი-მსოფლიო თასი;
- ▶ ძალოსნობა-ევროპის ჩემპიონატი;
- ▶ მინსკის ევროპული თამაშები;
- ▶ საქართველოს ჩემპიონატები ფეხბურთში, კალათბურთში, რაგბსა და წყალბურთში;

პირველი არხი ითვალისწინებს ნაციონალური მნიშვნელობის ღონისძიებების მიმართ მოსახლეობის ინტერესს და მაყურებელს სთავაზობს პირდაპირ ეთერს საჭადრაკო ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალიდან, საახალწლო გალა-კონცერტიდან, 26 მაისის და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიდან.

ასევე ინარჩუნებს ინტერესს ისეთი საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის მიმართ, როგორც არის ევროვიზიის სიმღერის კონკურსი და ცდილობს პროექტის განვითარებაში სწორი და ჯეროვანი ინვესტიციის განხორციელებას.

პირველი არხის საეთერო ბადის დიდ ნაწილს შეადგენს მექანიკური პროდუქცია (მხატვრული და დოკუმენტური სერიალები, ანიმაცია, მხატვრული ფილმები). საზოგადოებრივი მაუწყებელი უარს ამბობს დაბალი ხარისხის მექანიკურ პროდუქტზე და მაყურებელს სთავაზობს მსოფლიოს წამყვანი კომპანიების პროდუქტს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი თანამშრომლობს მსოფლიო ბრენდებთან: Sony, Paramount; BBC, Discovery, National Geographic; ARTE; PGS Intertainment; Globo; RAI და მაყურებელს სთავაზობს ამ კომპანიების წარმოებულ ქართულად გახმოვანებულ მაღალი ხარისხის სატელევიზიო პროდუქტს.



\*პირველი არხის ეთერში შიდა და გარე წარმოების პროდუქტის პროცენტული გადანაწილება მაუწყებელი სამომავლო მიზნად ისახავს ეს მაჩვენებელი 70%/30% გაუთანაბროს

ასევე ქართულ ტელესივრცეში პირველად არხმა მაყურებელს მსოფლიო კინოპრემიერები შესთავაზა. მთელ მსოფლიოსთან ერთად, ქართველ მაყურებელს საშუალება მიეცა ქართულად გახმოვანებული ტოპ-სერიალის ახალი სერიები პრემიერის დღეს იხილოს.

# გიორგი გვიმრაძის ხედვა

## ახალი და მიმდინარე აგების ბლოკის ხელმძღვანელი

ბოლო წლების განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიმდინარეობს ე.წ. ნიუსრუმის ინტეგრაციის პროექტი. ამ დროისთვის პროცესი დასკვნით ფაზაშია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკური გადაიარაღების გეგმის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ნიუსრუმისთვის უახლესი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

პროექტის უდიდესი ნაწილი განხორციელდება კოსტავას 68-ში მდებარე შენობაში, თუმცა პროცესი დასრულდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ ოფისში, რომელიც განთავსდება პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე.

ტექნიკური აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა ინტეგრაციის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის გარეშეც პროექტის განხორციელება თეორიულადაც შეუძლებელია, თუმცა, როგორც ყოველთვის, ადამიანები ნებისმიერი პროცესის ქვაკუთხედი.

როგორც ამბობენ - **Technichs are easy, people are not.** ამდენად, მთავარი ამოცანაა ადამიანური რესურსების განვითარება სამი ძირითადი მიმართულებით.

პირველი - ინტეგრირებული ნიუსრუმი გულისხმობს მულტიფუნქციურ და მულტი-პლატფორმულ ჟურნალისტიკას. ამ ნაწილში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, თუმცა ეს პროცესი დაკავშირებულია ტექნიკურ აღჭურვილობასთან და შესაბამისად, მისი აქტიური ფაზა სწორედ ტექნიკის შექმნის და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პარალელურად დაიწყება.

მეორე - თანამედროვე მედია, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი მაუწყებლები დგანან დიდი რაოდენობით ინფორმაციის მიმოცვლის გამოწვევის წინაშე, რომელიც მოიცავს მცდარი და გადაუმოწმებელი ინფორმაციის ნაკადს. ამ ფონზე პასუხისმგებლიანი მედიის ამოცანაა არა მხოლოდ გადამოწმებული, ზუსტი და დროის ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება, არამედ ამ ინფორმაციის მნიშვნელობის ხაზგასმა მომხმარებელთათვის. შესაბამისად, ეს გულისხმობს მიმართულებებად დაკომპლექტებული (ნიუსრუმის პროექტით, ჟურნალისტების უმრავლესობა საქმიანობს კონკრეტული მიმართულებით - პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური საკითხები და სხვ.) ჟურნალისტების მუდმივ გადამზადებას და პროფესიონალიზაციას კონკრეტული თემატიკის შესაბამისად.

მესამე - როგორც გერმანიის ყოფილი კანცლერი, ჰელმუტ შმიტი ამბობს - ჩვენ ვიქცევით მედია-დემოკრატიებად, სადაც ხშირად მედია უფრო გავლენიანია, ვიდრე პოლიტიკოსები. ასეთი მედია შობს პოპულისტებს და არა ლიდერებს. საკმარისია ერთი დღე დავუთმოთ მეგაპოპულური მედიის ეთერს, რომ ყოფილი კანცლერის სიტყვებში დავრწმუნდეთ.

ამერიკელი ჟურნალისტი ემი გუდმანი, რომელიც შეერთებულ შტატებში წინასაარჩევნოდ მედიის მონიტორინგს აწარმოებდა, თავის გამოსვლაში ერთი კონკრეტული დღის მაგალითზე აღნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ პრაიმერის დროს მეგაპოლისურმა მედიამ პირდაპირი ეთერის მთელი 10 წუთი დაუთმო ცარიელ პიუპიტრს, სადაც სიტყვით უნდა გამოსულიყო დონალდ ტრამპი, მაშინ როცა იმავე დღეს ბერნი სანდერსის შეხვედრა ამომრჩეველთან არც კი გაშუქებულა.

კომუნიკაციის გაწყვეტა მომხმარებელთან (მაყურებელი, მსმენელი, ინტერნეტ მომხმარებელი), ნეგატიური დღის წესრიგი, პროცესის დამკვირვებლად და არა მონაწილედ საკუთარი თავის განხილვამ, საბოლოოდ განსაზღვრა, რომ ჟურნალისტების მიმართ ნდობა სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების მიხედვით, საკმაოდ დაბალ დონეზეა. ამდენად დღეს დასავლურ მედიაში სულ უფრო აქტუალური ხდება გადანყვეტაზე ორიენტირებული, საზოგადოების პულსაციის მიმართ მგრძობიარე ჟურნალისტიკის განვითარების იდეა. დღეს, როგორც არასდროს, საზოგადოებას ესაჭიროება ჟურნალისტი, რომელიც მას გასცემს პასუხს შემდეგ კითხვებზე - რა, სად, როდის, ვინ, რატომ, როგორ და რაც მთავარია, რას ნიშნავს ეს მოვლენა ჩემთვის და რა იქნება ამის შემდეგ? როგორ დავაღწიო თავი ამ პრობლემას და როგორ მივიღო სწორი, ინფორმირებული გადაწყვეტილება?

## ნიკოლოზ ცარცვაძის ხედვა

რადიოს არხების ხელმძღვანელი

FM102,4; FM100,9 რადიოარხების საპროგრამო პოლიტიკა

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პოლიტიკა ეფუძნება მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს. ახალი საპროგრამო ბადაე 2019 წლიდან იწყებს სრულ ტრანსფორმაცია - განახლებას.

### რადიო პირველი არხი

#### FM102.4

**მისია** - საზოგადოების სოციალურ-კულტურული მოდერნიზაციის ხელშეწყობა, მოსახლეობის ინფორმირება და განათლების დონის ამაღლება პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, სამართლებრივ საკითხებსა და პროცესებზე.

**მიზანი** - 2019 წლის სეზონზე ახალი პროდუქტების შეთავაზებით, არსებული აუდიტორიის შენარჩუნება.

რადიო პირველი არხის 2019 წლის საეთერო სეზონისთვის ახალი პროექტების შესარჩევად გამოცხადდა კონკურსი შემდეგ მიმართულებებზე:

- ▶ შემეცნება - განათლება
- ▶ კულტურა
- ▶ გართობა-შემეცნება
- ▶ ორიგინალური რადიოიდეა

კონკურსის მიზანი, მაღალი ხარისხის რადიოპროდუქციის შერჩევა იყო, რომელიც დააკმაყოფილებს მაუწყებლის აუდიტორიის ინტერესებს და შესაბამისობაში იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის მისწრაფებებთან.

2019 წლის სამაუწყებლო სეზონისთვის პროექტების შერჩევასა და გთვალისწინებული იქნა მაუწყებლობის შესახებ კანონში გაწერილი შინაარსობრივი ვალდებულებები და საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ასევე გახსნა სივრცე ორიგინალური იდეებისთვის, სადაც ნებისმიერ მსურველს ჰქონდა შესაძლებლობა წარმოედგინა საკუთარი პროექტი. პროექტების თემატიკა და ფორმატი შეუზღუდავი იყო.

### კონკურსში გამარჯვებული პროექტები

- ▶ მუსიკის 12 მოციქული (ავტორი დავით ევგენიძე)
- ▶ სი ბემოლ ვიტამინი (ხათუნა კობერიძე)
- ▶ რადიოკალენდარი (ილია თავბერიძე)
- ▶ აკუსტიკა (გიორგი ასანიშვილი)
- ▶ ისტორიის პოპ გაკვეთილები (გიორგი ხადური)
- ▶ არტნიუსი (თამარ დადიანიძე)
- ▶ ჩვენი ფერმა (თამარ ბოლქვაძე)
- ▶ ღია ფანჯარა (მედეა იმერლიშვილი, გაგა გობრონიძე)
- ▶ უცნობი მუსიკა (კახა თოლორდავა)
- ▶ მთელი ეს როკი (შალვა გეგეჭკორი, გაგა გობრონიძე)
- ▶ ჭაზოფრენია (ლადო ტატიშვილი)
- ▶ უცხოეთის დაიჯესტი (ლევან ახალაია)

## 2019 წლის რადიოს საეთარო სეზონი

### მადიანარმოება-არსებული გადაცემები

- ▶ პიკის საათი
- ▶ სახლისკენ
- ▶ ქართული კლასიკური მწერლობა
- ▶ ჩაკრულო
- ▶ ხალხური სიმღერის გაკვეთილები
- ▶ ჩაი ორისთვის
- ▶ საუკეთესო წიგნები
- ▶ რადიოთეატრი
- ▶ სერიალი

### მადიანარმოება-კონკურსის გამარჯვებულები

- ▶ მუსიკის 12 მოციქული (ავტორი დავით ევგენიძე)
- ▶ სი ბემოლ ვიტამინი (ხათუნა კობერიძე)
- ▶ რადიოკალენდარი (ილია თავბერიძე)
- ▶ აკუსტიკა (გიორგი ასანიშვილი)
- ▶ ისტორიის პოპ გაკვეთილები (გიორგი ხადური)
- ▶ არტნიუსი (თამარ დადიანიძე)
- ▶ ჩვენი ფერმა (თამარ ბოლქვაძე)
- ▶ ღია ფანჯარა (მედეა იმერლიშვილი, გაგა გობრონიძე)
- ▶ უცნობი მუსიკა (კახა თოლორდავა)
- ▶ მთელი ეს როკი (შალვა გეგეჯკორი, გაგა გობრონიძე)
- ▶ ჭაზოფრენია (ლადო ტატიშვილი)
- ▶ უცხოეთის დაიჯესტი (ლევან ახალაია)

### ახალი და მიმდინარე ამბები-არსებული გადაცემები

- ▶ ახალი ამბები
- ▶ ღია სტუდია
- ▶ ჩვენი საქართველო
- ▶ ესტაფეტა

### ახალი და მიმდინარე ამბები-ახალი პროექტი

- ▶ მსოფლიოს ამბები

## რადიო პირველი არხი - მუსიკა FM100.9

**FM100.9-ის** - სლოგანი ზუსტად აუღერებს მის ძირითად მესიჯებს და ზოგად კონცეფციას - „მუსიკა გემოვნებიანი მსმენელისთვის“. FM100,9-ზე 24 საათის განმავლობაში ისმის ხარისხიანი მუსიკა, რომელიც მსმენელს განტვირთვის საშუალებას აძლევს.

მსოფლიო მუსიკალური შედევრების გაცნობა და პოპულარიზაცია, ფესტივალების და კონცერტების ჩაწერა-ტრანსლირება FM100,9-ის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

**მისია** - საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლება მუსიკალური მიმართულებით.

**მიზანი** - მასობრივი მოხმარების, დაბალი ხარისხის კონტენტისგან განსხვავებული ალტერნატივის შეთავაზება გემოვნებიანი მსმენელისთვის და მათი რაოდენობის გაზრდა.

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელიც სისტემატურად იწერს კლასიკური მუსიკის კონცერტებს, თეატრალურ და საოპერო სპექტაკლებს, ეთერს უთმობს მუსიკალურ და თეატრალურ მიმოხილვას. ის ერთადერთი რადიოსადგურია, რომელსაც გააჩნია რადიოთეატრი. რადიოსპექტაკლების ხარისხზე მიუთითებს საერთაშორისო აღიარება და პრიზები.

დაგეგმილია რადიოჟურნალისტების პროფესიული დონის ამაღლება (სტაჟირება, ტრენინგი).

# თმარ კაცითაძის ხედვა

## ონლაინ მედიის ხელმძღვანელი

### პირველი არხის ონლაინ პორტალი

#### ხედვა

2017 წელი ტრანსფორმაციის წელი გახდა მაყურებლისთვის ახალი ვებ გვერდისა და მობილური აპლიკაციების შეთავაზების კუთხით.

Itv.ge არის თანამედროვე, მულტიმედიური, მობილურისთვის შექმნილი და დესკტოპზე ადაპტირებული, შვიდენოვანი ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა, რომელიც გათვლილია მრავალფეროვან მომხმარებელსა და ინფორმაციის მიღების მრავალ მეთოდზე - კითხვა, მოსმენა, ყურება, ანალიზი და სხვ. ვებპორტალი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

ვებპლატფორმაზე განთავსდა ის კონტენტი, რომელიც 10 სხვადასხვა საიტზე თუ ქვესაიტზე იყო მიმოფანტული და მათი დიფერენცირება შინაარსის მიხედვით მოხდა სხვადასხვა სექციებში.

მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე, განვითარდა „პერსონალური კედლის“ კონცეფცია. კონტენტის და მომხმარებლის მრავალფეროვნების საპასუხოდ, შექმნილი კონტენტის პერსონალიზების ალგორითმის მიხედვით, მომხმარებელი იღებს მისთვის საინტერესო მასალას.

მომხმარებელს ვთავაზობთ ახალი ამბების, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის, გეიმშოუს მობილურ აპლიკაციას Android-ისა და iOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

#### მთავარი მიზანი

- ▶ Itv.ge -ახალი ამბები ყველაზე პოპულარულ ონლაინ საინფორმაციო წყაროდ იქცეს;
- ▶ Itv Online გახდეს მომხმარებლის მოთხოვნებზე მაქსიმალურად მორგებული, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ▶ Itv Online და სხვადასხვა სერვისებმა საზოგადოებისთვის მაუწყებლობა მოქნილი გახადოს ახალი, ონლაინ შესაძლებლობების შეთავაზებით;
- ▶ 2019 წლისთვის მიაღწიოს მაყურებლის მაქსიმალურ ჩართულობას ინტერაქტიული ფორმატის გააქტიურებით.



## სოციალური და ახალი მედია - ბრენდის ურთიერთობა მომხმარებელთან

დღევანდელ რეალობაში არსებული პროდუქტების პოპულარიზაციის ყველაზე მარტივი გზა სოციალური და ახალი მედიაა. შესაბამისად, სოციალური და ახალი მედიის ინსტრუმენტების გამოყენებით აუდიტორიასთან კომუნიკაციის ახალი ეტაპი იწყება.

### მიზნები

მომხმარებელთან მარტივი ურთიერთობა და უკუკავშირი

- ▶ ბრენდის იმიჯის გამყარება
- ▶ ბრენდის პოპულარიზაცია
- ▶ მომხმარებელთა რიცხვის ზრდა
- ▶ ტელევიზიის, რადიოს და ვებგვერდის პარალელურად დამოუკიდებელი მედიაარხის შექმნა

### მოცულობა

Itv Online აერთიანებს სოციალური ქსელების ათეულობით არხს, მათ შორისაა: Facebook, Twitter და Youtube. გარდა ამისა, შექმნილია გადაცემების Facebook და Youtube გვერდები.

### გეგმა:

თავდაპირველად ყველა სოციალურ არხზე შეგროვდება ინფორმაცია და დაიწყება არსებული ვითარების ანალიზი. შედეგის ნახვის შემდეგ, დაიწყება ახალ ფორმატზე გადასვლა.

### რას გულისხმობს ახალი ფორმატი?

სოციალური ქსელის გვერდები დაიყოფა სხვადასხვა მიმართულებებად:

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები

შემეცნებით-გასართობი გადაცემები

რადიო

ტელევიზია

ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდება ახალი მედიის ჯგუფი, რომელიც ვებგვერდზე ორიგინალური კონტენტის შექმნაზე იზრუნებს. აღნიშნული კონტენტი სხვადასხვა არხებისთვის შეიფუთება და გავრცელდება.

## კონტენტი:

ანონსები, ანიმაციები, ვიდეოები, ლაივსტიმები, ლაივსტრიმ გამოკითხვები, ინტროები, გრაფიკული ნამუშევრები, გამოკითხვები, კონკურსები და ა.შ.

გადაცემები: გაძლიერდება გადაცემების სოციალური არხები. კონკრეტულად, თითოეული გადაცემა ცალკე შეიფუთება სოციალური ქსელისათვის.

მონიტორინგის ჯგუფი: აღნიშნული ჯგუფი პასუხისმგებელი იქნება მომხმარებელთან ურთიერთობაზე, კომენტარებზე პასუხის გაცემაზე, შეტყობინებებზე დროულად რეაგირებაზე.

## გზამკვლევა

ახალი სტრატეგიის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები გაეცნობიან სოციალურ ქსელში ჟურნალისტის ქცევის სტანდარტებს.

## რეკლამა

ახალი სტრატეგიის მიხედვით, გაიწერება პოსტების რეკლამის ბიუჯეტი. ყოველდღიურად მოხდება წინასწარ შერჩეული მასალის რეკლამირება და გავრცელება.

## ინოვაციაზა ორიენტირება

გუნდი მუდმივად გაეცნობა სიახლეებს და მისი დამუშავების შემდეგ დაიწყებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას პრაქტიკაში. მაგ. სწრაფი სტატიების ფუნქციის გამოყენება სოციალურ ქსელში, ფეისბუქტელევიზია და ა.შ.

## ახალი სარვისების ათვისება

სოციალური ქსელის ახალი ფუნქციების ათვისება და მათთვის სპეციალური კონტენტის შექმნა: Facebook and Instagram Story, სწრაფი სტატიები ფეისბუქისთვის და ა.შ.

## სპეციალური რუბრიკები

სოციალური ქსელი გახდება დამოუკიდებელი მედიაარხი, რომელიც საკუთარი კონტენტით და რუბრიკებით გააგრძელებს მაუწყებლობას.

## სოციალური ქსელის ბადა

ყოველი კვირის დასაწყისში გაიწერება სოციალური ქსელების ბადა, რომელიც სხვადასხვა კონტენტით შეივსება.

## რას მივიღებთ?

მივიღებთ დამოუკიდებელ არხს, რომელიც მომხმარებელს დახვეწილი და ორიგინალური გზით მიაწვდის ინფორმაციას, რაც აუდიტორიის გაზრდაზე დადებითად აისახება.



**საქართველოს  
პირველი არხი**

**პროგრამული პრიორიტეტები**  
2018 - 2021



# საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტები

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება #430;  
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“  
2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ

## 1. შესავალი

### ▶ 1.1. პროგრამული პრიორიტეტების სამართლებრივი სტატუსი და სტრუქტურა

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით, „კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისგან“ (მუხლი 17.6; ძალაში შევა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ).

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი საზოგადოებრივ მაუწყებელს ავალდებულებს, მიიწოდოს საზოგადოებას პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამები (მუხლი 15). კანონის მე-16 მუხლში მოცემულია საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებები კონკრეტული ჩამონათვალის სახით.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულებისას საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელმძღვანელობს პროგრამული პრიორიტეტებით - მაუწყებლის ნორმატიული დოკუმენტით, რომელსაც ქმნის და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო (მუხლი 20). პროგრამული პრიორიტეტები მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

პროგრამული პრიორიტეტები, რომლებიც სამეურვეო საბჭომ 2015 წელს შეიმუშავა, არეგულირებდა მაუწყებლის 2015-2016 წლების საქმიანობას. შემდგომში მათი მოქმედება 2018 წლის 20 აგვისტომდე გაგრძელდა. ახალი პროგრამული პრიორიტეტები, რომლებიც ამ დოკუმენტით განისაზღვრა, განკუთვნილია სამწლიანი პერიოდისთვის და მოიცავს 2018-2021 წლებს, თუმცა ამ სამი წლის განმავლობაში მოსალოდნელია დოკუმენტში გარკვეული ცვლილებების შეტანა მისი შემდგომი განვრცობის მიზნით.

დოკუმენტი მომზადებულია 2014-2016 წლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე, რომლებიც ინარჩუნებს ვალიდურობას („საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ დამოუკიდებულება და მაუწყებლის გაუმჯობესების გზების იდენტიფიკაცია“, 2014-2015; „სატელევიზიო ბაზრის კვლევა“ - სატელევიზიო აუდიტორიის სეგმენტაცია, - 2016 წლის მაისი.)

## ► 1.2. მანუაბლის ზოგადი ორიენტირები და და მართვის ამოცანები

დამოუკიდებელი, პოლიტიკური და კომერციული გავლენებისგან თავისუფალი მაუწყებელი ვალდებულია, თავისი პროგრამირება მომხმარებელზე ორიენტირებით ააგოს. ამდენად, მაუწყებლის სტრატეგიული მიზანია, მიაწოდოს საზოგადოებას ის მედიამომსახურება და პროდუქცია, რაც მომხმარებლებს და მთლიანად საზოგადოებას პირველ რიგში სჭირდება და ვერ ღებულობს სხვა მედია საშუალებებით.

საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა ისწრაფოდეს, გახდეს მთავარი სადისკუსიო სივრცე საქართველოს მოსახლეობისათვის, სადაც შესაძლებელი იქნება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, განსახვავებული მოსაზრებების გამოთქმა, დისკუსია სწორედ საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით.

ჰიბრიდული ომის ვითარებაში მაუწყებელმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღოს ყალბი ინფორმაციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად; ამავე დროს უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნული პრობლემის შესახებ.

მაუწყებელი უნდა ისწრაფოდეს, გახდეს გამორჩეული მედიასაშუალება, რომელიც ავითარებს და ამკვიდრებს საკუთარ მიდგომებს დამომსახურების მაღალ სტანდარტებს, იზიდავს მომხმარებლებს ინოვაციის, სიახლის, წინსვლის ხელშეწყობითა და წარმოჩენით. მაუწყებელი უნდა ისწრაფოდეს, რომ წარმოებული თუ შესყიდული ნებისმიერი პროდუქტი საუკეთესო იყოს შესაბამის ჟანრში, ხოლო თითოეული პლატფორმის პროდუქციის მთელი სპექტრი გამოიჩინოს კონკურენტებისგან.

ახალი და მიმდინარე ამბების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და გასართობი პროდუქციის გარდა მაუწყებელი აწარმოებს ისეთ პროდუქციას, რომელიც საზოგადოებისთვის სასარგებლო და ფასეული რჩება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამდენად, საზოგადოების საჭიროებების ოპტიმალურად დამომსახურების მიზნით, მაუწყებელმა სათანადო ბალანსი უნდა დაიცვას პროდუქციის შემდეგ სამ კატეგორიას შორის:

- ა. ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები - ამ პროდუქციას დღესდღეობით ყველაზე მაღალი წილი უკავია მაუწყებლის ბიუჯეტში;
- ბ. კულტურა, შემეცნება, განათლება, ისტორია და ჯანსაღი ცხოვრების წესი - ამ ტიპის პროდუქციის შეთავაზება მაუწყებლის მიერ დღესდღეობით არ შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს როგორც პროდუქციის რაოდენობით, ასევე მისი მრავალფეროვნებით;
- გ. ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის განკუთვნილი პროდუქცია - ყველაზე გრძელვადიანი ინვესტიციაა საზოგადოების განვითარებაში. მაუწყებელმა ამ ტიპის პროდუქციის წარმოება არა მარტო უნდა ზარდოს, არამედ ამავედროულად იზრუნოს მაუწყებლის შიგნით შესაბამისი კომპეტენციების შექმნა-განვითარებაზე.

შინაარსობრივ სრულყოფასთან ერთად მენეჯმენტმა უნდა იზრუნოს, რათა პირველი არხის სიგნალი ხელმისაწვდომი გახდეს მაქსიმალურად ბევრი მომხმარებლისთვის. ამასთან, მაქსიმალურად უნდა განვითარდეს სხვა პლატფორმები (რადიო, ვებ, სხვა მულტიმედიაური)

პლატფორმები), რომლებითაც მაუწყებელი მომხმარებელს საკუთარ პროდუქციას მიაწვდის. ასევე უნდა შესრულდეს ახალ შენობაში გადასვლის და ტექნიკური გადაიარაღების გეგმა; დასრულდეს სტრუქტურული რეფორმა და მართვის ახალი მეთოდების დანერგვა, მათ შორის ახალი ნიუსრუმის სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელება და მულტიმედიური წარმოების პროცესის აგება. ორგანიზაციის სწორმა მართვამ, მათ შორის შიდა სტანდარტების დანერგვამ შედეგად უნდა მოიტანოს კორპორატიული კლიმატის გაუმჯობესება, მაუწყებლის შემოქმედებითი პოტენციალის გაძლიერება, დასაქმებულთა პროფესიონალიზმის და კმაყოფილების მაჩვენებლების ზრდა.

შინაარსობრივ პარამეტრებთან ერთად, სამეურვეო საბჭო ყოველწლიურად შეაფასებს მენეჯმენტის საქმიანობას მაუწყებლის ორგანიზაციული სრულყოფის, საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის და სხვა ამოცანების მიღწევის თვალსაზრისით, რისთვისაც გამოიყენებს შეფასების სხვადასხვა საშუალებას.

## ► 2. მაუწყებლის ძირითადი სამოქმედო პრიორიტეტები

მომდევნო 3 წლის განმავლობაში სამეურვეო საბჭო ბიუჯეტის დამტკიცებისას და სხვა გადაწყვეტილებების მიღებისას პირველ რიგში იხელმძღვანელებს შემდეგი სტრატეგიული მიზნებით:

1. საყოველთაო წვდომა: მაუწყებლის ყველა პლატფორმისა და პროდუქციის მომხმარებელთა რაოდენობრივი ზრდის უზრუნველყოფა როგორც კომბინირებულ მაჩვენებლებში (სატელევიზო, რადიო და მულტიმედიური არხები), ასევე ცალკე, პირველი არხის მაყურებლების მაჩვენებლებში.
2. საყოველთაო მომსახურება: მრავალფეროვანი აუდიტორიის, მათ შორის სპეციფიკური საჭიროებების მქონე აუდიტორიის მომსახურება. ამ მიზნით პროდუქცია და ხარჯები უნდა განაწილდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მომსახურებისთვის, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, შშმ პირების, რეგიონის მოსახლეობის მომსახურებისთვის.
  - 2.1 თანაბრად ემსახურება სხვადასხვა სამომხმარებლო ქცევის მსხვილ სოციალურ ჯგუფებს (სოციოლოგიური კვლევებით დადგენილი მსხვილი ჯგუფები).
  - 2.2 მზარდად უზრუნველყოფს საზოგადოების სხვადასხვა მცირე ჯგუფის რეპრეზენტაციას საკუთარ პროდუქციაში.
3. თვალთახედვების მრავალფეროვნება: საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა მსოფლმხედველობის, მოსაზრების, ფასეულობის და საჭიროების ასახვა და წარმოჩენა.
4. საგანმანათლებლო, კულტურული, შემეცნებითი, ანალიტიკური პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა;
5. ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის (საგანმანათლებლო, გასართობი, სხვა) პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა. ამავე დროს, 2018 წლის განმავლობაში მაუწყებელმა სპეციალისტების თანამონაწილეობით უნდა შეიმუშაოს ამგვარი პროდუქციის წარმოების და შესაბამის პლატფორმებზე განთავსების სტრატეგიული გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის განხორციელება;

6. მულტიმედიაური მეთოდების ეფექტიანად გამოყენება პროდუქციის წარმოებისა და გავრცელებისთვის; ალტერნატიული პლატფორმების აუდიტორიის და მათ მიერ გავრცელებული პროდუქციის ოდენობის და მრავალფეროვნების ზრდა;
7. პროდუქციის ხარისხის, მრავალფეროვნების და ზეგავლენის წლიდან წლამდე ზრდა, მათ შორის, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის პროდუქციის სანდოობის ზრდის უზრუნველყოფა.
8. არქივი - გადაიდგას სასწრაფოდ ქმედითი ნაბიჯები უნიკალური საარქივო მასალების (დაცვა, გაცვიფრვა) შენარჩუნების მიზნით.

### ► 3. მანუალობის მინარსობრივი პრიორიტეტი

3.1. საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის და სხვა შესაბამისი თემატიკის პროდუქციამ მოქალაქეებს საშუალება უნდა მისცეს, გაეცნონ და მკაფიო წარმოდგენა შეიქმნან საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებების, ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობაზე, ქვეყნისათვის მნიშვნელოვან შიდა პოლიტიკურ პროცესებზე, ძირითად ორიენტირებზე და გამოწვევებზე, იმ საერთაშორისო მოვლენებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან კავშირშია ან გავლენას ახდენს მასზე.

პროდუქციაში აისახოს:

ა) სოციალური პრობლემები, განსაკუთრებული აქცენტით მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებსა და საჭიროებებზე ბ) რიგითი მოქალაქის პრობლემები; გ) საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები/ პროცესები: ნატოში განწევრიანების შესაძლებლობები, ქვეყნის განვითარებაზე დასავლეთთან ინტეგრაციის დადებითი გავლენა, ასოცირების ხელშეკრულებით მიღებული შესაძლებლობები, სხვა.; დ) საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები; ე) ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები, ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა მათ შორის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარება; ვ) საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები და პროცესები; ზ) უცხოეთში მიმდინარე მოვლენები; თ) საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სტაბილურობაზე და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე; ი) საქართველოს რეგიონებში მიმდინარე სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების ამსახველი პროცესები; კ) ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის აქტუალური საკითხები; ლ) სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები.

3.2. საზოგადოებრივი მანუალობის ერთ-ერთი ვალდებულებაა ჟურნალისტური გამოძიება. ამ ჟანრის შემდგომი განვითარებისა და პროდუქციის გაუმჯობესებისთვის, ჟურნალისტური გამოძიების შიდა წარმოების გარდა, შეიქმნას პლატფორმა გარე წარმოებისთვის. 2018 წლის ბოლომდე მენეჯმენტმა შეიმუშაოს ამ პლატფორმის კონცეფცია, საგამოძიებო პროდუქციის გარე წარმოების და შესაბამის პლატფორმებზე განთავსების გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის განხორციელება.



ჟურნალისტური გამოძიება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ გახმაურებული ამბებით/ შემთხვევებით, არამედ უნდა იკვლევდეს ისეთ თემებს, რომლებიც კანონის უზენაესობას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, ადამიანის უფლებების დარღვევებს და სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად აქტუალურ სხვა საკითხებს ეხება. ჟურნალისტური გამოძიება უნდა გახდეს საჯარო სექტორზე საზოგადოებრივი/სამოქალაქო მეთვალყურეობისა და მონიტორინგის ერთ-ერთი ძლიერი მექანიზმი.

- 3.3. ადამიანის უფლებების შესახებ მედიაპროდუქტების წარმოება და შექმნა, რომლებიც ორიენტირებული იქნება ადამიანის უფლებათა სწავლებაზე, პოპულარიზებაზე, საზოგადოების ინფორმირებაზე საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების და მდგომარეობის შესახებ; მედიაპროდუქტის მომზადება კონკრეტული უფლებადარღვევების შესახებ, რომლის მიზანიც იქნება საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სისტემის გაუმჯობესება და მსოფლიოს საუკეთესო ანალოგებთან შესაბამისობაში მოყვანა. მედიაპროდუქტის შექმნისას ყურადღება გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შრომითი უფლებები, უსაფრთხოების ნორმები და მომხმარებელთა უფლებები.

ადამიანის უფლებების შესახებ მედიაპროდუქტის წარმოების და შექმნის დროს უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების დაუცველი ჯგუფების მომსახურება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის უმთავრესი ვალდებულებაა აღმოაჩინოს, დაინახოს და დაგვანახოს დღეს არსებული ყველაზე მტკივნეული პრობლემები, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და მუდმივად ეძებდეს ამ პრობლემების მოგვარების გზებს, ასახავდეს მრავალფეროვნებას, უზრუნველყოფდეს მოსახლეობის ინფორმირებას და განათლებას ამ მიმართულებით. მიზანშეწონილია, ზემოხსენებული თემები გაშუქდეს სხვადასხვა გადაცემებში და ამ გადაცემების მომზადების პროცესში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ადამიანის უფლებადამცველები, ასევე სხვადასხვა თემის და სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები.

- 3.4. საქართველოში არსებული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების კულტურის, ტრადიციების, ფასეულობების, ყოფის, საჭიროებების, პრობლემების, წარმატებების, მნიშვნელოვანი თარიღებისა და სხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხების ამსახველი მედიაპროდუქტის მომზადება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2017 წელს მიღებული საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო ინტეგრაციის, ეთნოსთაშორისი და რელიგიათაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობის მედია სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

უზრუნველყოფილი იქნეს ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართულობა პროდუქციის მომზადების პროცესში და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებულ გადაცემებში მათი სტუმრის რანგში მოწვევა.

- 3.5. ქართული დოკუმენტური ფილმების შიდა და გარე წარმოების ზრდა 2019 წლიდან. 2018 წლის ბოლომდე შემუშავდეს ამ მიმართულების განვითარების გეგმა, კონტროლისა და გადამწვეტილების მიღების მექანიზმები. მენეჯმენტმა, დარგის სპეციალისტების თანამონაწილეობით, შეიმუშაოს ქართული დოკუმენტალისტიკის განვითარების კონცეფცია (შიდა და გარე წარმოების მიმართულებით). საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სეზონის მანძილზე გარკვეული პერიოდულობით შესთავაზოს მაყურებელს ახალი ქართული დოკუმენტური ფილმი.

3.6. მოზარდების მონაწილეობით მედიაპროდუქტის მომზადება მათთვის აქტუალურ და საინტერესო თემებზე.

3.7. მედიაპროდუქტის მომზადება ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების და გარემოსდაცვის საკითხებზე.

3.8. სპორტული გადაცემების მომზადება, შესყიდვა და ტრანსლირება.

3.9. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება.

#### ► 4. პროდუქციის მიწოდების გზები, პლატფორმები

წინამდებარე საპროგრამო პრიორიტეტების შესასრულებლად მენეჯმენტმა ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოს და წარმოადგინოს პროდუქციის სამაუწყებლო / საკომუნიკაციო პლატფორმებზე განთავსების გეგმა.

2019 წელს მენეჯმენტმა უნდა შეიმუშაოს და საბჭოს წარუდგინოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პლატფორმების, მათ შორის მეორე არხის გრძელვადიანი განვითარების კონცეფცია.

#### ► 5. საქმიანობის შეფასების საზომები

მაუწყებლის საქმიანობა ფასდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ; შეფასებები აგრეთვე შეიძლება კეთდებოდეს წლის განმავლობაში დაგამოიყენებოდეს რეკომენდაციებისა და მოთხოვნების ჩამოსაყალიბებლად.

მაუწყებლის საქმიანობის შეფასებისთვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა საშუალება, მათ შორის რაოდენობრივი მონაცემები, კვლევები, სხვ.

### მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა

	2017 წლის	2018 წლის	2017 წლის	2018 წლის	2017 წლის	2018 წლის
საბელაჰიზაციო არხები						
რადიო						
ინტარნეტი						
სხვა						
ჯამური						

## საყოველთაო მომსახურება

	% ფიფთაობაში 1 არსი	% სხვა კლასტორები	აღება სოციალური კვლევით	გადაწესება პროდუქციის რედაქცია	გადაწესება დანახარჯები, რესურსები
ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები სათელავი არსები					
მშპ პირები					
რეგიონები					

## სამანათლებლო, კულტურული, ზემოწებითი, ანალიტიკური

	2017 წლის დანახარჯები	2018 წლის დანახარჯები	2017 წლის პროდუქცია	2018 წლის პროდუქცია	2017 წ3დომა	2018 წ3დომა
საკუთარი						
ადგილობრივი						
უცხოური						

## პროდუქცია ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის

	2017 წლის დანახარჯები	2018 წლის დანახარჯები	2017 წლის პროდუქცია	2018 წლის პროდუქცია	2017 წ3დომა	2018 წ3დომა
საკუთარი						
ადგილობრივი						
უცხოური						

## მულტიმედია სააუწყებლო კლასტორები

	2017 წლის დანახარჯები	2018 წლის დანახარჯები	2017 წლის პროდუქცია	2018 წლის პროდუქცია	2017 წ3დომა	2018 წ3დომა
ვებპარტი						
აპლიკაცია						
სხვა						

## ხარისხი, მრავალფეროვნება და ზეგავლენა

შეფასების ეს სამი პარამეტრი იზომება ჯამური ქულით, რომელიც ეყრდნობა ქვემოთ განვლილი ასპექტების შეფასებას (იხ. ქვემოთ „ზეგავლენა, მრავალფეროვნება და ხარისხი“)

### ხარისხი და მრავალფეროვნება

	2018 წლის შეფასება ხარისხი	2019 წლის შეფასება ხარისხი	2020 წლის შეფასება ხარისხი	2018 წლის შეფასება მრავალფეროვნება	2019 წლის შეფასება მრავალფეროვნება	2020 წლის შეფასება მრავალფეროვნება
ახალი ამბები...						
კულტურა...						
საბავშვო						

### ზეგავლენა

	2018 წლის შეფასება ზეგავლენა	2019 წლის შეფასება ზეგავლენა	2020 წლის შეფასება ხარისხი
ახალი ამბები...			
კულტურა...			

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუკი შეფასებისას გამოყენებული იქნა კვლევის სხვადასხვა მეთოდი (მაგ. რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა), რომელთა შედეგების პირდაპირ შეჯამება შეუძლებელია, ცხრილში გაიზრდება სვეტების რაოდენობა და ყველა შეფასება შევა ცალ-ცალკე ასევე წლების მიხედვით მოხდება მოცემული ცხრილების კორექტირება.

უფრო ვიწრო კატეგორიების -ქვეჯანრების ან გადაცემების შეფასებისთვის შეიქმნება ცალკე ცხრილები ამ კატეგორიების სპეციფიკის შესაბამისად.

## ზეგავლენა, მრავალფეროვნება და ხარისხი

ქვემოთ ჩამოთვლილი შეფასების კრიტერიუმები გამოყენებული იქნება თითოეული ჟანრისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით.

### ზეგავლენა

- მაყურებელს ეხმარება, გაერკვეს ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებსა და საკითხებში
- მაყურებელს უქმნის შესაძლებლობას, იფიქროს მოვლენებზე ახალი და განსხვავებული კუთხით
- მაყურებელს უქმნის მოტივაციას, ჩაერთოს სხვადასხვა მოვლენებსა და აქტივობაში
- მაუწყებელი ქმნის ისეთ პროგრამებს, სიუჟეტებს, რომლებზედაც მაყურებლებს შემდგომ ემთმანეთთან საუბარი მოუხდებათ

- მაუწყებელი ქმნის ისეთ პროგრამებს, სიუჟეტებს, რომლებიც იწვევს გამოხმაურებას, რეაგირებას, დღის წესრიგის ცვლილებას სამოქალაქო საზოგადოებაში ან პოლიტიკაში
- მაუწყებელი არ ცდილობს მაყურებლით ფარულ მანიპულირებას რაიმე სპეციფიკური პოლიტიკური ან კომერციული ინტერესების სასარგებლოდ
- სტიმულს აძლევს მომხმარებელს, აღიქვას რეალობა ახალი და განსხვავებული კუთხით.
- სტიმულს აძლევს მომხმარებელს, შეცვალოს საკუთარი ცხოვრება უკეთესობისკენ.
- პასუხობს მომხმარებლის ინტერესებს და საჭიროებებს.
- წარმოაჩენს და პოპულარიზაციას უწევს საქართველოს თვითმყოფად კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას.
- პოპულარიზაციას უწევს მსოფლიო კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას.

### **მრავალფეროვნება**

- წარმოაჩენს მრავალფეროვან მსოფლმხედველობებს, პოლიტიკურ თვალთახედვებს და ინტერესებს
- სათანადო ყურადღებას უთმობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის მნიშვნელოვან თემებს, პრობლემებს, ინტერესებს
- აძლევს გამოხატვის შესაძლებლობას იმ ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედია გარემოში, მათ შორის რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებს, შშმ პირებს, რეგიონის მოსახლეობას
- კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ცრურწმენებს, სტერეოტიპებს
- წარმოაჩენს მრავალფეროვან კულტურას და თვალთახედვებს, ადგილობრივ და მსოფლიო ტენდენციებს
- აძლევს გამოხატვის შესაძლებლობას სხვადასხვა გემოვნების მქონე ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედია გარემოში; ასახავს ახალ მიმდინარეობებს

### **ხარისხი**

- აშუქებს მოვლენებს ოპერატიულად, მიუკერძოებლად და ობიექტურად
- აშუქებს მოვლენებს დაზუსტებულად, სანდო წყაროებზე დაყრდნობით
- საკითხებს გადმოსცემს გასაგები ენით
- მოიძიებს და წარმოაჩენს ექსკლუზიურ და აქტუალურ ინფორმაციას, თემებს
- წარმოაჩენს მოვლენებს ახლებური და განსხვავებული კუთხით
- უზრუნველყოფს დისკუსიებისა და დებატების ისეთ ფორმატს, სადაც შესაძლებელია რაციონალური აზრის ჩამოყალიბება

### **სიღრმისეულობა**

- მაყურებელს ეხმარება დაინახოს რეალობა, აზრი გამოიტანოს მიმდინარე მოვლენებიდან
- აჩვენებს მაყურებელს თუ როგორ აისახება (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) მოვლენები მასზე
- აანალიზებს, არის თუ არა (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) მოვლენები ისეთი, როგორიც ჩანს

- ხსნის, თუ რატომ არის (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ.) მოვლენები ისეთი, როგორიც არის
- ანახებს მომხმარებელს თუ როგორ აისახება (კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ.) მოვლენები მასზე
- სიღრმისეულად აანალიზებს მოვლენებს (კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ.) და წარმოაჩენს თუ როგორ ეხება პიროვნებას, საზოგადოებას და სამყაროს.

### **გამორჩეულობა**

- ქმნის მუდმივ ფასეულობებზე ორიენტირებულ პროდუქციას, რომელიც არ არის წარმავალ, ამ წუთიერ რეიტინგზე ორიენტირებული
- არის ექსპერიმენტების და ინოვაციების ადგილი
- პროდუქცია არის ჟანრობრივად მრავალფეროვანი
- იყენებს სხვა არხებისგან განსახვავებულ შემოქმედებით მიდგომას მოვლენების და საკითხების გაშუქების დროს
- გამოირჩევა მაღალი სარედაქციო სტანდარტით.

პროგრამული პრიორიტეტების შესრულების შესაფასებლად სამეურვეო საბჭო გამოიყენებს საექსპერტო კვლევებს, სოციოლოგიურ კვლევებს, დამოუკიდებელი მედია ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ანალიზს და მონიტორინგს.

სამეურვეო საბჭოს მიერ პროგრამული პრიორიტეტების შესრულების შეფასება და რეკომენდაციები იქნება საჯარო.



**საქართველოს  
პირველი არხი**

**ანგარიში**

2018





# სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ (პირველი არხის) წლიური ანგარიში

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“, როგორც ინსტიტუციისთვის, 2017-2018 წ.წ. იყო მასშტაბური რეფორმების პერიოდი, რომელიც მოიცავდა როგორც ტექნიკურ, ასევე პროგრამულ სიახლეებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირველი არხის ისტორიაში 2018 წელს პირველად დაიწყო ტელევიზიის სრული ტექნიკური გადაიარაღების პროცესი, შესაბამისად, მომზადდა საქართველოს პირველი არხის ტექნიკურ/ტექნოლოგიური გადაიარაღების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი - დაგეგმილი შესყიდვების აღწერილობა, ვადები და ღირებულება - ჯამში 45 მლნ ლარი. ეს თანხა საჭირო გახდა, რათა არხმა, ფაქტობრივად, სრულად ამორტიზებული ტექნიკა მთლიანად შეცვალოს. აღსანიშნავია, რომ ამ გეგმის მიხედვით, საქართველოს პირველმა არხმა 2018 წელს დაგეგმილი და განსაზღვრული 3 მილიონი ლარის აპარატურა უკვე მიიღო, 2019 წლის ბოლომდე კი დარჩენილი თანხა მთლიანად ტექნიკურ გადაიარაღებაზე დაიხარჯება. შეიცვალა სატელევიზიო პარკი და პირდაპირი ჩართვის აპარატურა, მთლიანად განახლდა სტუდიური განათება. დაწყებულია მუშაობა და არხი მალე შეიცვლის მისამართს - გადავა მისთვის საგანგებოდ აშენებულ იმ შენობაში, რომელიც მოსახლეობამ კონკურსის წესით შეარჩია.

2018 წელს მრავალფეროვანი გახდა სამაუწყებლო ბადა, რომელიც შეივსო გადაცემებით.

## 2018 წელს ეთერში ჩაშვებული საბელაჟიო პროექტები:

- ▶ „რანინა“
- ▶ „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?“
- ▶ მარტივი ლოგიკა“
- ▶ „ხანმოკლე XX საუკუნე“
- ▶ „ცვანციკას ონლაინ გაკვეთილები - მათემატიკა აბიტურიენტებისთვის“
- ▶ ვებპროექტი „რეალური სივრცე“ - (სოციალურ ქსელებში კვირაში ერთხელ გადის სპეციალურად ონლაინისთვის მომზადებული 15-წუთიანი გადაცემა სრულიად განსხვავებულ სოციალურად მნიშვნელოვან თემებზე. გადაცემის წამყვანია ჟურნალისტი სოსო კაციტაძე)
- ▶ 24-ეპიზოდის სატელევიზიო პროექტი „ფეხბურთის ლოგიკა“
- ▶ 24-ეპიზოდის სატელევიზიო პროექტი - „მოთელვა“
- ▶ „ახალი დღე“



## 2018 წელს ჩაშვებული დოკუმენტური ფილმები - ტელეფილმების მიმართულება

- ▶ „ქეთევან წამებულის კვალდაკვალ“ (დაბრუნება)
- ▶ „ვიკინგები“
- ▶ „მე - შალვა ნუცუბიძე“
- ▶ „უკომენტაროდ“
- ▶ „ეპოქის“ ფრაგმენტები:
  - ალექსანდრე მშვილდაძე - მევენახე
  - თემურ არძენაძე - მეჭიბონე
  - ირაკლი სირაბიძე - ლოტბარი
  - იოსებ მახაჭაძე - მწვრთნელი
  - ნოდარ კაკაბაძე და მირიან ნუმანიშვილი - ლაზი მენავეები
  - რევაზ ბოლქვაძე - საბაგირო გზის უფროსი



## 2017 წელს დაწყებული და 2018 წელს წარმატებით გაგრძელებული პროექტები:

- ▶ „ფერმა“
- ▶ „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“
- ▶ „პირადი ექიმი - მარი მალაზონია“
- ▶ „რეალური სივრცე“
- ▶ „აკუსტიკა“
- ▶ „წიგნების თარო“



## 2018 წელს წარმოება დაიწყო და 2019 წელს ეთერში ჩაშვა/ ჩაშვება შეძლები პროექტები:

- ▶ „დოსიე“
- ▶ „ლამის შოუ“
- ▶ „რა, სად, როდის?“
- ▶ „რანინა“
- ▶ „მასტერშეფი“
- ▶ „მუსიკის 12 მოციქული“
- ▶ „ხალხური სიმღერის გაკვეთილები“



## 2018 წელს დაიწყო წარმოება და 2019 წლისთვის მომზადდა მხატვრული და ლოკუბენტური ფილმები:

- ▶ „რემისია“
- ▶ „შარდენი“ (1 სერია;)
- ▶ „შარდენი“ (2 სერია)
- ▶ „ჭამბაზის კალენდარი“
- ▶ „უშგული - ჩემი სამოთხე“
- ▶ „ბზვანელი“
- ▶ „ივანე ბერიტაშვილი“
- ▶ „თემურ ჩხეიძე“
- ▶ „სტოკსი“
- ▶ „საიდუმლო კარტოთეკა“
- ▶ „პრესა და ერი“
- ▶ „თბილისის კართან“
- ▶ „დაკარგული წიგნები“
- ▶ „იდეალური დედა“



2018 წელს პირველმა არხმა მაყურებელს შესთავაზა გარე წარმოების ორი პროექტი: „საქართველოს ვარსკვლავი“, „კაცები“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2018 წელი რადიო პირველი არხის მიმართულებით - განახლდა და ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა საქართველოს რადიო პირველი არხი FM 102,4. რადიოს განახლების ფარგლებში, 2018 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეასრულა მთელი რიგი სამუშაოები: შეისწავლა ახალ სამაუწყებლო ბადესთან არსებული გადაცემების/პროექტების თავსებადობა; პროექტების ნაწილი გადაფორმირების ფაზაში გადავიდა, ნაწილი - დაიხურა; ბადის გარკვეულ ზოლებზე გამოცხადდა ღია კონკურსი. გარდამავალი პროგრამირების გათვალისწინებით, რომლის ფარგლებშიც რადიო-მაუწყებლობა სრულად არ გაჩერდა, ბადეში დარჩა შესაბამისი კრიტერიუმებით შერჩეული პროექტები.

2018-2019 წლების საეთერო სეზონისთვის რადიო პირველმა არხმა გამოაცხადა გადაცემების შესარჩევი კონკურსი შემეცნებით, საგანმანათლებლო, კულტურულ, შემეცნებით-გასართობ გადაცემებზე. კონკურსის მიზანი იყო მაღალი ხარისხის რადიოპროდუქციის შერჩევა, რაც დააკმაყოფილებდა მაუწყებლის აუდიტორიის ინტერესებს და შესაბამისობაში იქნებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ფასეულობებთან. კონკურსის იდეა გულისხმობდა თავისუფალ სივრცეს ორიგინალური იდეებისთვის, სადაც ნებისმიერ მსურველს საკუთარი პროექტის წარდგენის შესაძლებლობა ექნებოდა.

**კონკურსის შედეგად შეირჩა ახალი პროექტები:**

1. „მუსიკის 12 მოციქული“
2. „სი ბემოლ ვიტამინი“
3. „რადიოკალენდარი“
4. „აკუსტიკა“
5. „ისტორიის პოპ გაკვეთილები“
6. „არტნიუსი“
7. „ჩვენი ფერმა“
8. „ღია ფანჯარა“
9. „უცნობი მუსიკა“
10. „მთელი ეს როკი“
11. „ჯაზოფრენია“
12. „უცხოეთის დაიჯესტი“



მთლიანობაში შემუშავდა საქართველოს რადიოს სამაუწყებლო ბადე, დადგინდა გადაცემების ეთერში გასვლის პერიოდულობა, ქრონომეტრაჟი და ეთერში გასვლის საორიენტაციო დრო. ახალი მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს რადიოს ეთერში ჩაეშვა 12 ახალი და 12 მოდიფიცირებული გადაცემა. მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ 2018 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს მასშტაბით რადიოდაფარვაზე და 2019 წლის ბოლომდე რადიოსიგნალი არსებულის გარდა საქართველოს კიდევ 40 რაიონს დაფარავს.

პირველი არხის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს მულტიფუნქციურობა წარმოადგენს. აღსანიშნავია ვებ-პორტალი 1TV.GE. წელიწადზე მეტია, 1TV.GE მოსახლეობას შვიდ სხვადასხვა ენაზე სთავაზობს ინფორმაციას. ახალი ამბების მობილური აპლიკაცია და „მოქალაქე რეპორტიორის“ აპლიკაცია Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის, ასევე ოთხი ელექტრონული პირველი არხის დღევანდელი დღეა.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2018 წლის დეკემბრის კვლევის შედეგებით, საზოგადოებრივი მაუწყებლისადმი (პირველი არხი) ნდობა გაზრდილია. კერძოდ, გასული წლის მარტის თვის კვლევის შედეგებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ნდობის რეიტინგი 4 პროცენტი იყო, ხოლო 2018 წლის დეკემბერში 12 პროცენტია. რაც შეეხება ტელეარხების ყურებადობას, გამოკითხულთა 34-მა პროცენტმა მიუთითა, რომ საქართველოს პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ გადაცემებს საზოგადოებრივ მაუწყებელზე ადევნებს თვალს. არხის პოპულარიზაციას ხელს უწყობს ასევე მნიშვნელოვანი და მასშტაბური სპორტული მიმართულების გადაცემები, რაც პირველ არხს სხვა მაუწყებლებისგან გამოარჩევს:

**სპორტული მიმართულება 2018 წელი**

**ოლიმპიადა** (თებერვალი) - 17 დღის განმავლობაში პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა სამხრეთ კორეის ზამთრის ოლიმპიური თამაშები სპორტის 15 სახეობაში (საეთერო საათები 04:00 - 18:00 სთ.)

ოლიმპიადის მსვლელობისას ეთერში განთავსებული იყო გადაცემა „ოლიმპიური დღიური“. ოლიმპიადის პერიოდში პირდაპირი ტრანსლაციების დრომ 217 საათი შეადგინა, ხოლო „ოლიმპიადის დღიურების“ - 5 სთ.

ფეხბურთი (მარტი-მაისი) - პირველი და მეორე სატელევიზიო არხებით გადაიყვანა ჩემპიონთა ლიგის 18 რეპორტაჟი საერთო დროით 38 საათი. ლიგის მატჩების სათამაშო დღეებში ეთერში განთავსებული იყო „ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვები“ საერთო დროით 12 საათი.

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის „ეროვნული ლიგის“ 26 პირდაპირი რეპორტაჟი გადაიყვანა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან საერთო დროით 52 საათი. ამასთანავე, ყოველ კვირას მზადდებოდა გადაცემა „ეროვნული ლიგის მიმოხილვა“, ქრონომეტრაჟით 15წთ. და თვეში ერთხელ 45 წთ, რომლის საერთო დრომ 9 საათი შეადგინა.

პირველად ჩატარდა ფეხბურთში უეფა-ს ერთა ლიგის გათამაშება, საქართველოს ნაკრების 6 თამაში გადაიყვანა პირდაპირ ეთერში, საერთო ქრონომეტრაჟით 11 საათი. ასევე წინასამატჩო მიმოხილვები 3 გადაცემა - ერთი საათი და 30 წუთი.

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მოსამზადებელი ეტაპისთვის ამხანაგური შეხვედრები გამართა ლიტვის, ესტონეთის, მალტის, ლუქსემბურგის გუნდებთან. ამ რეპორტაჟების საერთო დრომ 8 საათი შეადგინა.

უეფა-ს ევროტურნირების ფარგლებში პირველი არხის ეთერით გადაიყვანა ქუთაისის „ტორპედოს“, საჩხერის „ჩიხურას“, „საბურთალოს“ და „დინამო“ თბილისის საერთაშორისო მატჩები საერთო დროით 8 საათი.

**მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში** - ივნისსა და ივლისში მაუნყებლის ორივე არხი ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატს დაეთმო. 64 მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი, რომლის დრომ 132 საათი შეადგინა. გარდა ამისა, ფეხბურთის ჩემპიონატის ფარგლებში შეიქმნა გადაცემა, რომელშიც მოწვეულ სტუმრებთან ერთად მიმდინარე ჩემპიონატის განხილვა და შეფასება ხდებოდა, სულ 28 გადაცემა - 25 საათი.

პირდაპირი რეპორტაჟები აბუდაბიდან - ფეხბურთში მსოფლიო საკლუბო გუნდის ჩემპიონატის ნახევარფინალური და ფინალური მატჩები (სულ 5 საათი).

2018 წლის მიწურულს მაყურებელს შევთავაზეთ მსოფლიოს, წლის საუკეთესო ფეხბურთელის და ნომინანტების დაჯილდოების ცერემონიალის პირდაპირი რეპორტაჟი შვეიცარიიდან (2 საათი). ტრადიციულად, მაუნყებელმა ძიუდოში ევროპის ჩემპიონატის პირდაპირი რეპორტაჟები შესთავაზა პოლონეთიდან (3 დღე საერთო დროით 7 საათი).

**წყალბურთი** - ქართველი წყალბურთელები მესამედ მოხვდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. 2018 წელს ამ ტურნირს საფრანგეთმა უმასპინძლა. საზოგადოებრივი მაუნყებლის ეთერით გადაიყვანა საქართველოს ნაკრების 5 თამაში და ფინალური შეხვედრა (ქრონომეტრაჟი 10 საათი).

**ფრენბურთი** - ფრენბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე თბილისს ეწვია საფრანგეთის, დანიის და ლატვიის გუნდები. სამივე რეპორტაჟი პირველი არხით გადაიყვანა და სამივე მატჩის დრომ 7 საათი შეადგინა.

**ჯადრაკი** - აჭარაში გამართული მსოფლიო საჯადრაკო ოლიმპიადის გახსნის პირდაპირი ტრანსლაცია გადაიყვანა პირველი არხით (ქრონომეტრაჟი ერთი საათი და 30 წუთი). გარდა

ცერემონიალისა, მომზადდა მიკროფილმები (9 ფილმი), რომლებიც მუდმივად გადიოდა მაუწყებლის ეთერით. ოლიმპიადა აქტიურად შექდებოდა „ახალი დღის“ და „მოამბის“ სპორტის ბლოკში.

**კალათბურთი** - კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატის სუპერლიგის 10 პირდაპირი რეპორტაჟი გავიდა მაუწყებლის პირდაპირ ეთერში, რომლის დრომ 19 საათი შეადგინა. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა მსოფლიოს 2020 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის 8 მატჩი გამართა. გადაიწარმოგორც საშინაო, ასევე საგარეო მატჩების რეპორტაჟები. საერთო დრომ 13 საათი შეადგინა.

**გადაცემები:**

„სპორტი 360 გრადუსით“- 2 აპრილიდან 11 ივნისის ჩათვლით, ყოველ ორშაბათს. კვირის მნიშვნელოვანი თემები, ანალიზის ტემატა ნერთად დასაინტერესო ჩანახატები/პორტრეტები, მათ შორის, სუმო, ძიუდო, ფეხბურთი, პარაფარიკაობა, კალათბურთი, მთამსვლელობა, რაგბი, სამთო სათხილამურო სპორტი და ა.შ. სულ 11 გადაცემა. ქრონომეტრაჟი 11 საათი.

**სპორტი მოამბეში** - „მოამბის“ 21:00 საათიანი გამოშვების სპორტის ბლოკი (5-7 წუთი); დღის მნიშვნელოვანი სპორტული სიახლეები.

17 სექტემბრიდან ყოველ სამუშაო დღეს გადაცემას „ახალი დღე“ დაემატა სპორტის ბლოკი დღის და კვირის მნიშვნელოვანი თემებით, სტუმრებით და სიუჟეტებით.

აქტიურად განახლება დია **1tv.ge/sporti** - ის გვერდი სპორტული სიახლეებით, ექსკლუზიური მასალით.

პირველი არხი სპორტის ფეისბუქ გვერდზე მუდმივად ისტრიმება არხზე არსებული პირდაპირი რეპორტაჟები და მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენები.

საქართველოს პირველი არხი ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის წინ და სრული რწმენით აცხადებს, რომ სამ წელიწადში აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე წელში გამართული მაუწყებელი იქნება.



წყალბურთი  
ევროპის ჩემპიონატის  
შასარჩავი ტურნირი



კალათბურთში  
მსოფლიო ჩემპიონატის  
შასარჩავი მატჩები



ფეხბურთში ევროპის  
2020 წლის ჩემპიონატის  
შასარჩავი მატჩები



საქართველოს  
ეროვნული ლიგა  
ფეხბურთში



საქართველოს  
ჩემპიონატი  
რაგბი



მსოფლიო ჩემპიონატი  
კალათბურთში



ძალის სიძლიერის  
ევროპის ჩემპიონატი



საქართველოს ჩემპიონატი  
წყალბურთში



მსოფლიოს  
ევროპული თამაშები



რაგბი -  
ევროპა 2019



საქართველოს ჩემპიონატი  
კალათბურთში-სუპერლიგა



რაგბი -  
მსოფლიო თასი

# მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგი (2018-19 წლების სატელევიზიო სეზონი)

2018 წლის 17 სექტემბერს პირველმა არხმა დაიწყო ახალი სატელევიზიო სეზონი. გარდა გასულ სეზონზე არსებული გადაცემებისა, ეთერს დაუბრუნდა და შეემატა დილის და დღის ზოლის გადაცემები „ახალი დღე“ და „ნაშუადღევს“. დილის შემეცნებით-გასართობი გადაცემა ეთერშია 07:30-10:00 საათამდე, ხოლო გადაცემა „ნაშუადღევს“ 12:30-15:00 საათამდე. ეთერში განთავსდა შემეცნებითი გადაცემების ციკლი, აკამორჩილადის „იონას საქართველო“, რომელიც ყოველ კვირას 22:30 საათზეა პირველი არხის სამაუწყებლო ბადეში (სულ 20 ეპიზოდი).

სექტემბრიდან „მოამბის“ ცენტრალურ გამოშვებას, კვირაში სამჯერ (ახლა კვირაში ერთხელ) დღის აქტუალური თემის გაშლით დაემატა სტუმრის ნაწილი, რომელსაც თამთა სანიკიძე უძღვება.

ამასთანავე, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო დებატების გარდა, სექტემბრიდან „მოამბის“ ცენტრალურ გამოშვებაში ყველა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სუბიექტს დაეთმო საეთერო დროის 10 წუთი და მათ მიეცათ საშუალება ამომრჩევლისთვის თავიანთი ხედვები და პოზიციები გაეცნოთ. მეორე ტურის წინ კი ყოველდღიურ რეჟიმში ეთერში განთავსებული იყო თოქ-შოუ, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს უკავშირდებოდა.

## 2018-19 წლების სატელევიზიო სეზონზე ეთერში დაბრუნდა წინა სეზონების გადაცემები:

„მარტივი ლოგიკა“ (ორშაბათი- სამშაბათი; 20:00)

„ხარ თუ არა მეექვსე კლასულზე ჭკვიანი?“

„წიგნების თარო“ (ხუთშაბათი-პარასკევი; 20:00)

„პირადი ექიმი“ (ორშაბათი-პარასკევი; 10:10)

„რეალური სივრცე“ (შაბათი; 18:30)

„ახალი კვირა“ (კვირა; 21:00)

„42-ე პარალელი“ (შაბათი; 21:30)

„კვირის ინტერვიუ ირაკლი აბსანძესთან ერთად“ (ორშაბათი; 22:00)

„აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ (პარასკევი; 22:00)

„აკუსტიკა“ (ოთხშაბათი; 22:30) (გამეორება კვირას 19:00)

„კაცები“ (ოთხშაბათი; 23:30) (გამეორება კვირას 15:20)

„ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ“ (კვირა; 18:30)

„ფერმა“ (კვირა; 12:15)

„ილუზიონი“ (კვირა; 23:00)

## 2019 წლის იანვრიდან პირველი არხის სატელევიზიო ეთერს დაემატა გადაცემები:

მეგამოუ „საქართველოს ვარსკვლავი“ - გადაცემა ეთერში შევიდა 5 იანვარს, დასრულდა 3 მარტს. სულ 9 გადაცემა. საეთერო ბადეში განთავსდა შაბათს 22:00 საათზე.

თოქ-შოუ „პირველი აუდიტორია“ - გადაცემა ეთერში შევიდა 28 თებერვალს. გადაცემა ეთერშია კვირაში ერთხელ (ქრონომეტრაჟი 56 წთ.) ბადეში განთავსებულია ხუთშაბათს 22:00 საათზე.

„ლამის შოუ პირველზე“ - გადაცემა ეთერში შევიდა 14 თებერვალს. ეთერშია კვირაში ერთხელ (ქრონომეტრაჟი 56 წთ.) ბადეში განთავსებულია ხუთშაბათს 23:00 საათზე.

დავით ევგენიძის საავტორო გადაცემა „მუსიკის 12 მოციქული“ - გადაცემა ეთერში შევიდა 24 იანვარს. პროექტი განთავსებულია როგორც სატელევიზიო, ისე რადიოს საეთერო ბადეში. პირველი არხის საეთერო ბადეში განთავსებულია ხუთშაბათს, კვირაში ერთხელ 00:00 საათზე.

ჰაატა ქურდაძის საავტორო გადაცემა „დოსიე“, რომელიც შედგება წამყვანის საავტორო ტექსტისგან და დოკუმენტური ფილმისგან. გადაცემა ეთერში შევიდა 19 თებერვალს. ბადეში განთავსებულია სამშაბათს 23:30 საათზე.

ტელესერიალი „იდეალური დედა“ - ეთერში შევიდა 4 მარტს. ბადეში განთავსებულია ყოველ-დღე, შაბათ-კვირის გარდა, 20:45 საათზე (ქრონომეტრაჟი 15 წთ; კვირას ხუთივე სერიის განმეორებითი ჩვენება).

„წიგნების თარო“ - სასკოლო სეზონი. გადაცემის ახალი სეზონი ეთერში შევიდა 14 მარტს. ბადეში განთავსებულია ხუთშაბათს და პარასკევს 20:00 საათზე (ქრ. 45 წთ.).

„წიგნების თარო“ - სტუდენტური სეზონი - გადაცემა ეთერში შევიდა 16 მარტს. ბადეში განთავსებულია შაბათს 20:00 საათზე (ქრ. 56 წთ.).

„ხალხური სიმღერის გაკვეთილები“ - პროექტი განთავსებულია როგორც სატელევიზიო, ისე რადიოს საეთერო ბადეში. გადაცემა ეთერში შევიდა 17 მარტს. ბადეში განთავსებულია კვირას 08:05 საათზე (ქრ. 15 წთ.).

„რანინა“ მეორე სატელევიზიო სეზონი - გადაცემა ეთერში შევიდა 24 მარტს. ბადეში განთავსებულია კვირას 20:00 საათზე (ქრ. 56 წთ.).

„ბიზნესპარტნიორი“ - გადაცემა ბიზნესისა და ეკონომიკის შესახებ. ეთერში შევიდა 15 აპრილს. გადაცემა ბადეში განთავსებულია ყოველ სამუშაო დღეს 15:30 საათზე (ქრ. 30 წთ.).

ამასთანავე, 2018-19 წლების სეზონზე ეთერში განთავსდა შიდა წარმოების შემდეგი დოკუმენტური ფილმები: ინტერაქტივი (დელფინარიუმი), „უცხო“ ( გივი მარგველაშვილი), „შავ-თეთრი“ (ოთარ იოსელიანი), „ვერიკო“.



მნიშვნელოვანია, რომ 2019 წლის 11 მაისიდან ეთერში შედის კულინარიული მეგაშოუ „მასტერ შეფი“. ეთერში განთავსდება შაბათს 22:00 საათზე (ქრ. ერთი საათი).

12 მაისიდან ეთერში შევა ქართული სერიალი „ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე“, ხოლო 25 მაისიდან სატელევიზიო ეთერშია გადაცემა „რა? სად? როდის?“, რომელიც განთავსდება შაბათს 23:00სთ-ზე.

ამ პერიოდში მოხდა მნიშვნელოვანი და მასშტაბური ღონისძიებების ტრანსლირება:

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გახსნა (ტრანსლაცია ბათუმიდან 23 სექტემბერს).

ფიფა-ს ეგიდით 2018 წლის საუკეთესო ფეხბურთელის და სხვა ნომინაციებში გამარჯვებულების დაჯილდოება. პირდაპირი რეპორტაჟი ლონდონის სამეფო საფესტივალო დარბაზიდან ტრანსლაცია შედგა 24 სექტემბერს.

2019 წლის 6-13 აპრილს ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატის ტრანსლირება ბათუმიდან.

ფეხბურთის, რაგბისა და კალათბურთის ნაკრების თამაშების პირდაპირი ტრანსლაციები.

ივნისში დაგეგმილია მინსკის ოლიმპიური თამაშების პირდაპირი ტრანსლაცია;

სექტემბერი-მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში;

სექტემბერი-ნოემბერი-მსოფლიო ჩემპიონატი რაგბიში.

ამის პარალელურად, პირველი არხის მაყურებელს ვთავაზობთ რაგბიში, კალათბურთსა და ფეხბურთში საქართველოს შიდა ჩემპიონატების რეპორტაჟებს.

## **დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ**

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 (1) მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს, ტელეპროდუქციის არანაკლებ 25% დაეთმოს გარე წარმოებას. 2017 წლამდე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაციები ითვალისწინებდა ინტელექტუალური საკუთრების ტენდერის გზით შესყიდვას, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა თავისუფალ არჩევანს ხარისხიანი პროდუქტის შერჩევის კუთხით. 2018 წელს კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გამარტივდა აღნიშნული პროცედურა. დღეისთვის პირველი არხის ტელეპროდუქციის 13% გარე წარმოებისაა და ეს რიცხვი/პროცენტი გაიზრდება დაგეგმილი სიახლეების კვალდაკვალ.

აღსანიშნავია, რომ გარე წარმოების პროდუქციის შერჩევისას საზოგადოებრივი მაუწყებლის სახელმძღვანელო კრიტერიუმებია პროდუქტის ხარისხი, პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობა და ბიუჯეტი.

2018 წელს პირველმა არხმა კომპანია „ენდემოლისგან“ შეიძინა კულინარიული მეგაშოუს „მასტერშეფი“ წარმოების ლიცენზია. ლიცენზიანტ კომპანიასთან მოლაპარაკების ერთ-ერთი პირობაა, პროექტი განახორციელოს მეგაშოუების წარმოების მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილების მქონე ჯგუფმა, რომელსაც შექმნილი პროდუქტის რაოდენობის გარდა, უნდა ჰქონდეს ხარისხიანი, საერთაშორისო სტანდარტების მქონე პროექტების გამოცდილება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2019 წლის 1-ლი მარტიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მაუწყებელი ითანამშრომლებს სტუდია „ნოვა პროდაქშენტთან“, რომელიც „ენდემოლის“ ყველა მოთხოვნას (კრიტიერიუმს) აკმაყოფილებს. ეს ჯგუფი უკვე 20 წელია მოღვაწეობს ბაზარზე და ყველა ეტაპზე იყო ინოვაციური ქართულ ტელევიზორულ საერთაშორისო პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. „X ფაქტორი“, „ჯობარი“, „უკანასკნელი გმირი“, „დრო, ფული და ერთი შანსი“, „ნიჭიერი“, „საქართველოს ვარსკვლავი“ და უამრავი სხვა პროექტი სწორედ მათ სახელს უკავშირდება. ამასთან, პირველმა არხმა ამ ჯგუფთან თანამშრომლობის ძალიან კარგი გამოცდილება მიიღო, რაც ციფრებით დასტურდება. ლაივ კონცერტების პერიოდში, „საქართველოს ვარსკვლავის“ საშუალო წუთობრივი რეიტინგი, არხის საშუალო წუთობრივ რეიტინგს აჭარბებს 165%-ით, ხოლო ფეისბუქ ნახვებმა უპრეცედენტო, 20 მილიონამდე მაჩვენებელს მიაღწია. გარდა ამისა, უხარვეზოდ ჩაიარა თანამშრომლობამ ყველა ასპექტში, იგულისხმება ტექნიკური, შემოქმედებითი თუ ფინანსური მხარე. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი მაუწყებელი ასეთივე წარმატების მოლოდინით იწყებს ახალ პროექტს, რომელიც ქართველი მაყურებლისთვის ძალიან საინტერესო იქნება.

2018 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კიდევ ერთი წარმატებული პროექტი განახორციელა გარე წარმოების გადაცემების ეთერში ინტეგრირების კუთხით. გადაცემა „კაცები“, რომელიც 2018 წლის პირველი მაისიდან გადის პირველი არხის ეთერში, არის შპს „TV11“-ის სტუდიის მიერ მომზადებული. გადაცემა იუმორისტული შინაარსისაა, მას უკვე იცნობს მაყურებელი სხვა არხებიდან („კაცების შოუს“ სახელით), რაც განაპირობებს მის სტაბილურ რეიტინგს ამჯერად ჩვენს არხზე. „TV11“-ის დამფუძნებელია დავით გოგიჩაიშვილი, რომელიც თავის გუნდთან ერთად, არის ყველასთვის ცნობილი „ღამის შოუს სტუდიის“ პროექტების შემოქმედი და ლიდერი ქართულ სატელევიზიო სივრცეში ინოვაციური იუმორისტული გადაცემების, სერიალების და სხვა ფორმატების წარმოებაში. საზოგადოებრივი მაუწყებელი განიხილავს აღნიშნულ ჯგუფთან სხვა პროექტების ფარგლებში თანამშრომლობის საკითხსაც.


# საზოგადოებრივი არხისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ

პირველი არხის პროგრამული პოლიტიკა ბოლო წლების განმავლობაში მეთოდურად, მუდმივად ზრდის აუდიტორიის ლოიალობას არხისადმი. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორია.

2018 წელი წარმატებული იყო პირველი არხისათვის. ამ სეზონზე ეთერში გავიდა რამდენიმე ახალი პროექტი, დაიგეგმა და წარმოებაში ჩაეშვა ისეთი კონკურენტუნარიანი გადაცემები, რომლებიც მიმდინარე წელს უფრო ეფექტურად წარმოაჩენს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებს და ამავდროულად გაზრდის პირველი არხის აუდიტორიას. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ჩვენს ხელთ არსებული კომპანია TV MR GE-ს ფიფქმეტრული მეთოდით სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის მონაცემები. ამ კომპანიის მომსახურებით ვსარგებლობთ 2019 წლის 1 იანვრიდან.

მართალია, დღევანდელ ანგარიშში 2019 წლის მონაცემებს არ მიმოვიხილავთ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ გასული წლის დასაწყისთან შედარებით, დაფიქსირდა პირველი არხის რეიტინგის უპრეცედენტო მატება. არხის რეიტინგი 80%-ით არის გაზრდილი. იმედია, ტენდენციის შენარჩუნებას შევძლებთ და წლის ბოლომდე პირველი არხის აუდიტორიაც უფრო გაფართოვდება.

## Top Channels




## როგორ მოვადით აჯამდა? რით იყო გამოჩენილი 2018 წელი?


ქართული სატელევიზიო სივრცის მონიტორინგი - იგულისხმება, ფიფქმეტრული მეთოდით სატელევიზიო აუდიტორიის კვლევა, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს და ამ მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამჟამად გაიზარდა ლოიალობა პირველი არხის მიმართ და საგრძნობლად გაფართოვდა მაუწყებლის აუდიტორია. გაიზარდა როგორც არხის, ასევე ცალკეული პროექტების ყურების ხანგრძლივობა და, შესაბამისად, წინა წლებთან შედარებით, სატელევიზიო ბაზარზე მისი წილიც გაიზარდა. კერძოდ:

2018 წლის სატელევიზიო სეზონზე, 2017 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, პირველი არხის საშუალო რეიტინგი (Rtg%) 18+ აუდიტორიისთვის 73%-ით გაიზარდა. 4+ აუდიტორიამ კი 75%-ით მოიმატა. პირველი არხის ბაზრის წილი (Share) გაზრდილია 72.7% - ით; არხის ყურების ხანგრძლივობა 79%-ით

### პირველი არხი



დღის ჭრილში, ნახევარსაათიანი სეგმენტების მიხედვით, ფიქსირდება აუდიტორიის მატება თითქმის მთელი დღის განმავლობაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაიმ თაიმის აუდიტორიის ზრდა. აღნიშნული ინფორმაცია ეფუძნება კომპანია Tri Media Intelligence (TMI)-ის ფიფქმეტრული მეთოდით სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის მონაცემებს. 2018 წელს ვსარგებლობდით ამ კომპანიის მომსახურებით



2018 სატელევიზიო სეზონზე საზოგადოებრივ მაუწყებელს ყოველკვირეულად, საშუალოდ (AVWRch) 814,333 ადამიანმა უყურა. აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით, ეს მონაცემი გაზრდილია 25,616-ით და კონკურენტ არხებს შორის მესამე მაჩვენებელია ტელეკომპანია „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის შემდეგ.

### \*YEAR 2018 - AVWRCH(000)



პროგრამული მიმართულებების მიხედვით, პრაქტიკულად, ყველგან ფიქსირდება რეიტინგის მატება.

მკვეთრადაა გაზრდილი სპორტული მიმოხილვების და რეპორტაჟების რეიტინგი. საზოგადოებრივი მაუწყებელი წლებია, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად აკმაყოფილებს სპორტის მოყვარულთა მოთხოვნებს, ამზადებს რეპორტაჟებს, პრაქტიკულად, ყველა მნიშვნელოვანი სპორტული ასპარეზობიდან (ქართველ მორაგბეთა და კალათბურთელთა ნაკრებების მატჩები, მოჭიდავეთა და ძალოსანთა დიდი ტურნირები, საქართველოს ჩემპიონატები), პოპულარიზაციას უწევს ქართულ სპორტს და მის ისტორიას. ამ გადაცემებს ყოველთვის დიდი აუდიტორია ჰყავს. 2018 წელს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლაციებიც დაემატა და ჭამში სპორტულმა პროგრამებმა მოიმატა 122%-ით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სპორტული მიმოხილვების აუდიტორიის 200%-იანი ზრდა.

გაიზარდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების რეიტინგი (ეფუძნება კომპანია Tri Media Intelligence (TMI)-ის ფიფქმეტრული მეთოდით სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის მონაცემებს. 2018 წელს ვსარგებლობდით ამ კომპანიის მომსახურებით).

რეიტინგის მატება გამოიწვია 2018 წლის ახალმა სატელევიზიო პროექტებმა: „ახალი კვირა“, „42 პარალელი“, „თავისუფალი ხედვა“, „მომამბე დღის თემა“ - ეს ის გადაცემებია, რომლებიც მაყურებელს ობიექტურ, აქტუალურ მასალას აწვდის, სთავაზობს ღრმა ანალიზს საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. აქ დასახელებულია ახალი პროექტები, რაც 2018 წელს გავიდა საქართველოს პირველი არხის ეთერში, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ბევრი „ძველი“ გადაცემის აუდიტორიაც გაიზარდა. მოიმატა: „აქტუალური თემის“, „კვირის ინტერვიუს“, „რეალური სივრცის“ და სხვა გადაცემების რეიტინგმაც, რაც ჯამურად, დაახლოებით 10%-ს შეადგენს.

**მხატვრული ხარისხის ნიშნით შერჩეული სერიალები და ფილმები არის მიმართულება, რომელზეც საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმატებით პოზიციონირებს.** მაღალი ხარისხის პროდუქცია, საბედნიეროდ, სატელევიზიო აუდიტორიისთვისაც მოთხოვნადი გახდა. სარეიტინგო მონაცემები გვიჩვენებს, რომ პირველი არხის ეთერში გასული ფილმების რეიტინგი გაიზარდა 31.9%-ით. ევროპული, ხარისხიანი სერიალების ესთეტიკა უფრო მისაღები ხდება ფართო აუდიტორიისთვის. 2018 წელს პირველი არხის მაყურებლებს ვუჩვენეთ ამერიკული, იტალიური, ესპანური და სხვა ევროპული ქვეყნების ტელესერიალები, რომლებიც ძალიან პოპულარულია მწარმოებელ ქვეყნებში და რომელთა მეშვეობითაც მაყურებელი ახლოს ეცნობა დასავლეთის სახელმწიფოებს, მათი ცხოვრების, განვითარების ეტაპებს სხვადასხვა დროსა და ეპოქაში.

**საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული სტრატეგია და გაცხადებული პოზიციანა, რომ ჩვენს ეთერში არ გადის ინდური და თურქული დაბალი ხარისხის სერიალები.**

**შემეცნებითი გადაცემები** - საზოგადოებრივი მაუწყებელი, არაერთი სეზონის განმავლობაში, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე, მოზარდებისა და სტუდენტების წარმოჩენაზე, ზრდის მათ ინტერესს შემეცნებისადმი. სისტემატურად აშუქებს სოფლის მეურნეობის საკითხებს, წარმატებული ფერმერების, მათ შორის ქალების მაგალითზე. მხარს უჭერს კამპანიებს შშმ პირების ინტეგრაციისთვის საზოგადოებაში. ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას გენდერული, რელიგიური, კულტურული ფასეულობების კუთხით.

2018 წელს 18.5%-ით გაიზარდა შემეცნებითი პროგრამების წილი, 2017 წელთან შედარებით. აღსანიშნავია, საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმოებული დოკუმენტური ფილმები, რომლებიც მიეძღვნა საქართველოსთვის მნიშვნელოვან მოვლენებს და ისტორიულ პიროვნებებს,

საზოგადო მოღვაწეებს: „ქეთევან წამებულის კვალდაკვალ (დაბრუნება)“, „ვიკინგები“, „მე-მალვა ნუცუბიძე“.

ფილმები ადამიანების შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს ეპოქაში და თავად ქმნიან ეპოქას კულტურასა და ხელოვნებაში. საინტერესო ადამიანების, მოვლენების, პროფესიების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და ცხოვრების წესის შესახებ:


- ▶ ალექსანდრე მშვილდაძე, მევენახე;
- ▶ თემურ არძენაძე - მეჭიბონე;
- ▶ ირაკლი სირაბიძე - ლოტბარი;
- ▶ იოსებ მახაჭაძე - მწვრთნელი;
- ▶ ნოდარ კაკაბაძე და მირიან ნუმანიშვილი - ლაზი მენავეები;
- ▶ რევაზ ბოლქვაძე - საბაგირო გზის უფროსი.

დოკუმენტურ ფილმებში ჩადებული ინვესტიცია საქართველოში დარგის განვითარებას ემსახურება. საზოგადოებრივი მაუწყებელი დამოუკიდებელ ავტორებს, ახალგაზრდა შემოქმედებს შესაძლებლობას აძლევს ტექნიკური და ფინანსური რესურსი გამოიყენონ. პროექტ „დებიუტის“ ფარგლებში, საზოგადოებრივი მაუწყებელი აფინანსებს კონკურსში გამარჯვებულ ფილმებს და ახალ თაობას ხელს უწყობს, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

პირველი არხის ეთერი დაეთმო: Discovery-ს, ARTE-ს, National Geographic-ის შემეცნებით დოკუმენტურ ფილმებს ხელოვნებასა და კულტურაზე, ფლორასა და ფაუნაზე, ადამიანის შესაძლებლობებსა და უნარ-ჩვევებზე.

**2018 წელს ეთერში გავიდა ახალი სატელევიზიო პროექტები:** „რანინა“, „აკუსტიკა“, „ახალი დღე“, „ნაშუადღევს“, „კაცები“, „მარტივი ლოგიკა“, „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?“. ამ გადაცემებმა სწრაფად მოიპოვეს პოპულარობა და აუდიტორიის ჩართულობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. სწორედ ამ გადაცემებმა გამოიწვია პირველი არხის აუდიტორიის პროფილის ცვლილება.

## Profiles



2017

2018

გაიზარდა დაბალი ასაკობრივი ჯგუფის წილი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 16-დან 24 წლამდე ასაკის მაყურებელთა აუდიტორიამ მოიმატა 25%-ით. აღსანიშნავია, რომ ეს ასაკობრივი ჯგუფი უპირატესობას ანიჭებს ინტერნეტს და მათი მოზიდვა არხისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა.

# გადაცემაზის ეფექტი



**„პირადი ექიმი მარი მალაზონია“** - საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რომელიც მრავალი წელია საზოგადოებისთვის საჭირო, სასარგებლო კამპანიებს ახორციელებს:

- ▶ წყლის დაზოგვა;
- ▶ პირველი გადაუდებელი დახმარება;
- ▶ შინმოვლის წესები;
- ▶ მგზავრობის უსაფრთხოებისთვის;
- ▶ ეკრანდამოკიდებულება;
- ▶ ძილის მედიცინა და ეპილეფსია;
- ▶ ბავშვის ნეიროგანვითარება;
- ▶ ოჯახის ფსიქოლოგია;
- ▶ ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგია;
- ▶ ძალადობა;
- ▶ სქესობრივი კულტურის განვითარება;

გადაცემაში ყოველდღიურად პირდაპირ ეთერში არის მაყურებლებთან სატელეფონო ინტერაქცია - რეკომენდაციები და რეცეპტები. პერმანენტული ონლაინ ინტერაქცია ფეისბუქ მობმარებლებთან.

გადაცემაში სისტემატურად იმართება ვიქტორინა და თამაშდება საჩუქრები, რომლებიც შერჩეულია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით.


## 8 სოციალური პროექტი:

- ▶ მე დავამარცხე კიბო;
- ▶ დღეგრძელობის საიდუმლო;
- ▶ ოჯახი;
- ▶ პირადი ექიმის გუნდი;
- ▶ ომის თაობა;
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობები;
- ▶ მშობლის დღიური;
- ▶ გარემო;
- ▶ გადაცემაში არის ონკოლოგიური დაავადების, აუტიზმის და დაუნის სინდრომის მქონე პირთა მხარდამჭერი აქციები და კლიპები.
- ▶ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ სოციალურ პროექტებში მალაზონია რეგიონების და ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა.

- ▶ აღსანიშნავია, რომ მაყურებელს ფეისბუქ აპლიკაციის საშუალებით - „აირჩიე შენი თემა“, შეუძლია, ჩაერთოს გადაცემის თემის დაგეგმვაში.

## აკუსტიკა 2018

- ▶ 31 გადაცემა ორი სეზონის განმავლობაში;
- ▶ ემიგრაციაში მყოფი მუსიკოსების პოპულარიზაცია;
- ▶ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობისთვის დაგეგმილი და ჩაწერილი ცოცხალი სესიები;
- ▶ ექსკლუზიურად აკუსტიკის გუნდის მიერ აღმოჩენილი მუსიკოსები მიიწვიეს როგორც ქართული, ასევე უცხოური მასშტაბური მუსიკალური ფესტივალის სცენაზე;
- ▶ გადაცემა „აკუსტიკის“ ფეისბუქ გვერდის მეშვეობით, Musica Est-ის ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს ქართველი მუსიკოსი ქეთათო და მისი სიმღერა „აზა“. სტატიაში წერია, რომ გადაცემა „აკუსტიკა“ ხელს უწყობს ქართველი არტისტების ცნობადობის გაზრდას, აძლევს რა მათ საშუალებას, ცოცხლად შეასრულონ სიმღერები როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებზე. Musica Est-ი იტალიური მუსიკალური ვებგვერდია, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა ევროპელი მუსიკოსების იტალიელი მსმენელისათვის გაცნობას.



## მარტივი ლოგიკა 2018

- ▶ მომზადდა 70 გადაცემა;
- ▶ თამაშში მონაწილეობა მიიღო:
  - 390-მა მონაწილემ საქართველოს ყველა რეგიონიდან
  - 30-მა ცნობილმა სახემ
- ▶ გადაცემაში გათამაშებულმა თანხამ შეადგინა 130 000 ლარი;
- ▶ 2018 წლის 25 მაისს გადაცემის მობილური აპლიკაცია გამოქვეყნდა;
- ▶ 2018 წლის მონაცემებით მობილური აპლიკაცია 432 000-მა უნიკალურმა მომხმარებელმა ჩამოტვირთვა;
- ▶ დღის განმავლობაში აპლიკაციას საშუალოდ 30 000 უნიკალური მომხმარებელი იყენებდა;
- ▶ 2018 წელს ამიერკავკასიის მასშტაბით, „მარტივი ლოგიკის“ აპლიკაცია მუდმივად ყველაზე პოპულარული თამაშების რეიტინგის პირველ სამეულში შედიოდა;
- ▶ 2018 წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით, აპლიკაციას დაემატა ექვსი ეტაპი და ერთი ლაივ გათამაშება.
- ▶ ლაივ გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო 150 ათასზე მეტმა მომხმარებელმა.
  - გათამაშების საპრიზო ფონდი შეადგენდა 5000 ლარს.





## რეალური სივრცე



02.02.2018 წელს გასული გადაცემის შემდეგ, რომელიც იაშვილის საავადმყოფოდან გათავისუფლებულ თანამშრომლებს ეხებოდა, აღადგინეს დეკრეტულ შვებულებამდე ორი კვირით ადრე გათავისუფლებული მედლა.

23.02.2018 წელს „რეალურ სივრცეში“ პირველი სატელევიზიო საჯარო განხილვის შემდეგ, რომელიც სნო - ჯუთა - როშკა - არხოტი - შატილი - ომალო - ფშაველის დამაკავშირებელ გზას ეხებოდა, ხელისუფლებამ გადაცემის სტუმრებისგან, რომლებიც ამ პროექტს აპროტესტებდნენ, საკონსულტაციო ჯგუფი შექმნა და ხანგრძლივი განხილვების შემდეგ, პროექტი შეჩერდა.

23.03.2018 წელს მომზადდა გადაცემა, რომელიც აგარის შაქრის ქარხნის შეჩერებას ეხებოდა, პირდაპირ ეთერში გაჩნდა ინიციატივა შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი მხარეების მონაწილეობით, ერთი თვის თავზე, ქარხანა ამუშავდა.

2018 წლის განმავლობაში „რეალური სივრცე“ თანმიმდევრულად აშუქებდა მეტროს თანამშრომლების პროტესტს, რომელიც ხელფასებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ეხებოდა, როგორც სატელევიზიო ეთერში, ასევე ვებ პლატფორმაზეც, რამაც მეტროს თანამშრომლების აზრით, ხელი შეუწყო, მათსა და მერიას შორის მიღწეულ შეთანხმებას და საკითხის მოგვარებას.

13.10.2018 წელს მომზადდა გადაცემა, თუ რა ზიანს აყენებს ნაგავი გარემოს. გადაცემის გასვლის შემდეგ, მოსახლეობის თქმით, რამდენიმე დღეში დაიწყო იმ სტიქიური ნაგავსაყრელების მოწესრიგება, რომელიც ვიდეოში იყო ნაჩვენები.

03.11.2018 წელს ნინოშვილის ქუჩაზე ერთადერთ თავისუფალ ადგილას, სადაც მოსახლეობა სარეკრეაციო ზონის შექმნას ითხოვდა, კომპანია „ემ კვადრეტი“ აპირებდა ბინათმშენებლობას. მოსახლეობის, ურბანისტებისა და არქიტექტორების აქტიური წინააღმდეგობის შემდეგ, რასაც მიეძღვნა „რეალური სივრცე“, პროცესი შეჩერდა.

სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის განკუთვნილ საოჯახო ტიპის სახლებს, დაფინანსების სიმცირის გამო, დახურვა ემუქრებოდა. 10 ნოემბერს გადაცემა „რეალური სივრცე“ სწორედ ამ თემას მიეძღვნა.

29 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის წევრმა, რატი იონათამიშვილმა, საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა წერილი, რომლის მიხედვითაც 2019 წლიდან ბიუჯეტში შევიდოდა ცვლილება მსგავსი ტიპის სახლებისთვის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით იმგვარად, რომ მათ არსებობა გაეგრძელებინათ. სტატუსშივე, პარლამენტის წევრმა, მადლობა გადაუხადა გადაცემა „რეალურ სივრცეს“, რადგან სწორედ ჩვენს ეთერში შეძლო მან სახლის ბენეფიციარებისგან მოესმინა ამ სახლების საჭიროების შესახებ, რაც, მისივე თქმით, დიდი სტიმული აღმოჩნდა.

## ფერმა



- ▶ სოფლად დაბრუნებული 20 ახალგაზრდა ფერმერის პოზიტიური მაგალითების წარმოჩენა, რამაც თავისი წვლილი შეიტანა მიგრაციის შეჩერებაში.
- ▶ გადაცემაში განხორციელებული ექსტენციის შედეგად 50-მდე ფერმერმა სწორად დაგეგმა საკუთარი მეურნეობა.
- ▶ „ფერმის“ ფეისბუქგვერდის 600 მომხმარებელს გაუწიეთ აგროკონსულტაცია, დავაკავშირეთ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, შედეგად, მათ მიიღეს საბაზისო აგროინფორმაცია დამწყები ფერმერებისათვის.
- ▶ გადაცემის პროდიუსერმა და წამყვანმა ჩაატარეს ტრენინგები საქართველოს 6 რეგიონში ადგილობრივი აგროჟურნალისტებისათვის, სადაც ნაჩვენები იყო გადაცემა „ფერმის“ სიუჟეტები, როგორც სასწავლო ვიზუალური მასალა.
- ▶ სლოვენიაში მომზადებული გადაცემის შედეგად ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ქართველი მეფუტკრეებისთვის ჩაატარა აგროტური, სადაც მათ სლოვენელმა მეფუტკრეებმა გაუზიარეს წარმატებული გამოცდილება.
- ▶ გადაცემამ თავისი წვლილი შეიტანა აგროტურიზმის განვითარებაში, კერძოდ, ტურისტულ სააგენტოებს ჩამოჰყავთ ტურისტები გადაცემა „ფერმაში“ გაშუქებულ წარმატებულ მეურნეობებში, რაც ზრდის ფერმერთა შემოსავალს.

## რანინა



- ▶ ახალ თაობაში ხარისხიანი, ქართული და მსოფლიო მუსიკის პოპულარიზაცია.
- ▶ კლასიკად აღიარებული მუსიკის ახლებური ინტერპრეტაცია ახალი თაობის მიერ.
- ▶ ახალი, ნიჭიერი სახეების აღმოჩენა და საზოგადოებისთვის გაცნობა.
- ▶ საერთაშორისო აუდიტორიასთან წარდგენის შანსი ახალი თაობის მუსიკოსებისთვის.
- ▶ პროექტის გამარჯვებული მარიამ ედილაშვილი საქართველოს სახელით გაემგზავრა საბავშვო ევროვიზიაზე.

## ახალი დღე 2018



1. 17 მნიშვნელოვანი ეკოლოგიური გამოწვევის წინ წამოწევა და პრობლემების შემცირების მიმართულებით მომუშავე ადამიანების მოტივაციის ამაღლება.
2. 15-ზე მეტი პირდაპირი ჩართვა თუ სტუმარი ქართული წარმოების ხელშეწყობისათვის - სტარტაპი, ქართული პროდუქციის წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე.
3. 10-ზე მეტი ეთერი ახალგაზრდა ბიზნესმენების გაცნობისთვის და ქვეყანაში მიმდინარე ბიზნეს-სიტუაციის გაშუქებისთვის.

4. 20-ზე მეტი ეთერი ქართული მუსიკის პოპულარიზაციისთვის (პრემიერები, ახალი ანსამბლები, ახალი სახელები, კლასიკოს კომპოზიტორთა ნაწარმოებების ახალი ვერსიები).
5. 20-მდე ეთერი კლასიკური მუსიკის პროპაგანდისთვის.
6. ყოველდღიური ეთერი მიმდინარე მოვლენების (სახელოვნებო, სოციალური, საზოგადოებრივი, სამეცნიერო) ექსკლუზიური გაშუქებით.
7. ქართველი ხელოვნებისა და ხელოვანების პოპულარიზაცია - ყოველდღიური ეთერი.
8. ახალი წიგნები, კლასიკოსი მწერლების ნამუშევრებისა და ახალგაზრდა მწერლების პოპულარიზაცია - 50-ზე მეტი ეთერი.
9. საზოგადოებრივი მაუწყებლის ოქროს ფონდის პოპულარიზაცია - 20-ზე მეტი ეთერი.
10. ორი მულტიმედიური პროექტი.
11. უცხოეთში მოღვაწე ქართველების მიღწევების გაშუქება - 10-მდე ეთერი.
12. უცხოელი სტუმრების, საელჩოების პროექტების გაშუქება - 30-მდე ეთერი.

# სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ იურიდიული სამსახურის 2018 წლის ანგარიში

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის  
35-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამეურვეო საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1-ლი მაისისა, საქართველოს პარლამენტსა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს ანგარიშს საზოგადოებრივი მაუწყებლის გასული წლის საქმიანობის შესახებ.

გამომდინარე აქედან, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ იურიდიული სამსახურის 2018 წლის ანგარიშს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეიცავს მხოლოდ აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის “ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

**ინფორმაცია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელში“ 2018 წლის განმავლობაში  
განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ**

## ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2018 წლის განმავლობაში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელში“ წარმოდგენილი იყო სამი ადმინისტრაციული საჩივარი:

### ▶ 1

2018 წლის 14 ივნისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელში“ წარმოადგინა ადმინისტრაციული საჩივარი მოქალაქე გ. ი-მა, სადაც აღნიშნული იყო, რომ 2018 წლის 28 მაისს გ. ი-მა განცხადებით მიმართა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა 2004 წლის 1-ლი ოქტომბრიდან - 2005 წლის 1-ელ აპრილამდე სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ სხვადასხვა მომსახურე პერსონალის განყოფილების დედანთან დამონმებული ხელფასის უწყისი, სადაც გ. ი-ს გარდა დაშტრიხული იქნება სხვა თანამშრომლების ხელფასები, ასევე სახელფასო უწყისებზე ხელმომწერი თანამდებობის პირების სახელი და გვარები დაშტრიხვის გარეშე, კერძოდ: 1. თავმჯდომარის მოადგილე; 2. მთავარი ბუღალტერი; 3. ბუღალტერი; 4. პასუხისმგებელი პირი.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და გაცემული იქნა მხოლოდ სხვადასხვა მომსახურე პერსონალის განყოფილების 2005 წლის იანვრის ხელფასის გაცემის უწყისი, სადაც გ. ი-ის გარდა დაიფარა მონაცემები და ხელფასები უწყისში მითითებული ყველა სხვა პირების შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება გ. ი-ს არ გაუსაჩივრებია.

### ▶ 2

2018 წლის 6 სექტემბერს ფიზიკურმა პირმა გ. ი-მა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელში“ წარმოადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რითაც მოითხოვა:

ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის 2018 წლის 3 სექტემბრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

ბ) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს, მიანოდოს გ. ი-ს ამონაწერი სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ საშტატო განრიგიდან 2004 წლის 30 აგვისტოს მდგომარეობით გ. ი-ს მიმართ. აღნიშნულ საჩივარზე გ. ი-ს დაუდგინდა ხარვეზი ფაქტობრივი გარემოებების და მოთხოვნის დაზუსტების მიზნით.

**2018 წლის 11 სექტემბერს გ. ი-მა წარმოადგინა დაზუსტებული ადმინისტრაციული საჩივარი, რითაც მოითხოვა:**

ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის 2018 წლის 3 სექტემბრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

ბ) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს, მიანოდოს გ. ი-ს ამონაწერი სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ საშტატო განრიგიდან 2004 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, რომელიც დამოწმებული იქნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, დედანთან დამოწმებულ ასლზე დასმული იქნება სამსახურეობრივი ბეჭედი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “გ” პუნქტის თანახმად, მოქალაქე გ. ი-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება გ. ი-ს არ გაუსაჩივრებია.

**▶ 3**

2018 წლის 15 ოქტომბერს სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს” ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (შემდგომში - “ორგანიზაცია”). საჩივარში აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაციამ საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით განცხადებით მიმართა სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“. საზოგადოებრივი მაუწყებლისგან ინფორმაცია მოწოდებული იქნა მხოლოდ განცხადების ექვს პუნქტთან დაკავშირებით და არ იყო მიწოდებული განცხადების პირველი პუნქტით გამოთხოვილი ინფორმაცია, კერძოდ, 2017-2018 წლებში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ განხორციელებული იმ შესყიდვების ჩამონათვალი (მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, ხელშეკრულების ღირებულების და გადარიცხული თანხის მითითებით), რომელთა შესყიდვაზე არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2018 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“-ს ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ გადაეცა შემდეგი ინფორმაცია:

ა) არარეზიდენტ პირებთან მიმართებაში - ინფორმაცია ჯამურად სახელშეკრულებო და ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის გადახდილი თანხების თაობაზე, ასევე, ხელშეკრულების გაფორმების თარიღის და კონტრაქტის მითითებით;

ბ) რეზიდენტ ფიზიკურ პირებთან მიმართებაში - მიეთითა მხოლოდ ის, რომ ხელშეკრულება გაფორმებულია ფიზიკურ პირთან; შესყიდვის ობიექტი; სახელშეკრულებო და ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის გადახდილი თანხა, ასევე, ხელშეკრულების გაფორმების თარიღი. ინფორმაცია იურიდიული პირისგან განხორციელებული შესყიდვის შესახებ ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ გადაეცემა სრულად. აღნიშნული გადანაცვები ორგანიზაციას არ გაუსაჩივრებია.

## **ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ**

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

### **▶ 1**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს 2018 წლის 12 იანვარს საჩივრით მიმართა მოქალაქე ზ. რ-მა „მომბეჭდი“ მისი სასამართლო პროცესის შესახებ მომზადებული სიუჟეტის გამო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მხრიდან სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ 12.03.2009წ. №2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ შესაბამისი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის დასკვნის საფუძველზე, გენერალური დირექტორის გადანაცვლებით, საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ:

ა) არ იქნა დადგენილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მხრიდან მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12, 31-ე, 34-ე, 35(2), 35(5), 35(6) და 48-ე მუხლების დარღვევა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გავრცელებულ ჩანაწერებთან მიმართებით.

ბ) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ყველა პლატფორმიდან აღებული იქნა მაუწყებლის მიერ შსს-დან გამოთხოვილი ჩანაწერი.

გ) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ არ განხორციელდა მომავალში აღნიშნული ჩანაწერის გამოყენება.

გადაწყვეტილება გასაჩივრებელი იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში (თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში). სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ძალაში დარჩა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის გადაწყვეტილება.

## ▶ 2

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს 2018 წლის 24 აპრილს საჩივრით მიმართა მოქალაქე დ. ს-მ, ორგანიზაციამ „მედიის განვითარების ფონდი“, ქართველ მუსლიმთა კავშირმა და ორგანიზაციამ „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გადაცემა „ახალი კვირის“ ეთერში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით, რომელიც ქართველი მუსლიმი ქალების მიერ ჰიჯაბის ტარების არჩევანს ეხებოდა. საჩივრის ავტორების აზრით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ დარღვეული იყო „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-13 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები, 31-ე მუხლი, 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 33-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები, რის გამოც, მოითხოვეს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომების შესწორება ღიად და დაუყოვნებლივ, თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით სათანადო საეთერო დროს.

საჩივრის ავტორების მიერ დაზუსტებული იქნა მოთხოვნები, რის შედეგადაც, მათ მოითხოვეს კონკრეტული ფაქტობრივი უზუსტობების გასწორება.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების კომისიის დასკვნის საფუძველზე, გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და გასწორდა ფაქტობრივი უზუსტობები საჩივრის ავტორების მიერ დაზუსტებული მოთხოვნების ნაწილში, რაც გასაჩივრებული იქნა თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში - სამეურვეო საბჭოში. სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ძალაში დარჩა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის გადაწყვეტილება.

## ▶ 3

